# სახალხო გაზეთი

№ 1100 კვირა, 26 იანვარი 1914 წ. № 1100

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.**

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ.

## სახალხო გაზეთი

**ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება**

### სურათებიანი დამატება

(კვირაობით).

### პრემიად 1914 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ სამი წიგნი

**პირველი წიგნი: „ქართველი მწერლები“**, რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „უგვირგვინო მეფენი“, ისტორ. დრამა 5-მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „მიმქრალი შარავანდედი“, ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

**მეორე წიგნი: „უცხოეთის მწერლები“**, რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი“, ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით **სანდრო შანშიაშვილისა** და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

**მესამე წიგნი: „სამეცნიერო კრებული“**, ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50 | 8. | 7. 50 | 6. 75 | 6 | 5. 25 | 4. 50 | 3. 75 | 3 | 2. 25 | 1. 50 | 75. |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

**ადრესის გამოცვლის ფასი** ტფილისისა ტფილისის გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კ.**

**დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.**

**სამი აბაზი** უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ჰსურს მიიღოს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიათ გადაიხადონ ნაწილობით** მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისთანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება: 1) „სახალხო გაზეთის“ კანტორაში**, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან.

**2) ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.**

**ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.**

---

24 იანვარს, შუაღამის 2 საათზე, ღვთივ განისვენა ტფილისის **წმ. მარინეს ეკლესიის წინამძღვარმა, მღვდელმა**

## ზაქარია (შაქრო) მიხეილის ძე გულისაშვილმა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **ძმანი სოზონი და ილარიონი, რძალნი: ნადეჟდა პავლეს ასული და ლიზა ირაკლის ასული, დაი ნინო მიხეილის ასული კოზმოვისა, სიძე-მღვდელი ვასილი იოანეს ძე კოზმოვი** და შვილნი ამათნი: **ვანიკო, ვალიკო და ტასიკო კოზმოვები.** პანაშვიდები ყოველ დღე 2-დან 6 ს.-დე. დაკრძალვა სამშაბათს, 28 იანვარს. 42

---

**პელაგია ნიკოლოზის ასული გულისაშვილისა და შვილნი მისნი: რუსუდანი, ნიკოლოზი, ელიზბარი, მიხეილი, გიორგი და ვასილი ზაქარიას ასული და ძენი** აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ მეუღლისა, ხოლო მეორენი—მამის, ტფილისის წმ. მარინეს ეკლესიის წინამძღვრის

## მღვდლის ზაქარია მიხეილის ძის გულისაშვილისას.

პანაშვიდები ყოველ დღე, 2 და 6 საათზე. დაკრძალვა სამშაბათს, 28 იანვარს. 42

---

**მღვდელი ხარლამპი ნიკოლოზის ძე ხუციევი** მეუღლით და შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ გარდაცვალებას დაუვიწყარის სიძის, ტფილისის წმ. მარინეს ეკლესიის მღვდლის

## ზაქარია მიხეილ. ძის გულისაშვილისა.

პანაშვიდები ყოველ დღე 2-დან 6 საათზე.

დაკრძალვა სამშაბათს, 28 იანვარს. 42.

---

მღვდელი **იოსებ იაკობის ძე** ცუცუნაშვილი და მეუღლე **ქეთევან ზაქარიას ასული** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას—პირველი ძვირფასის სიმამრის, ხოლო მეორე საყვარელ მამის, ტფილის წმ. მარინეს ეკლესიის **წინამძღვარის, მღვდლის**

## ზაქარია მიხეილის ძის გულისაშვილისას.

პანაშვიდები ყოველ დღე 2-დან 6 საათამდე. დაკრძალვა სამშაბათს, 28 იანვარს. 42

---

დილით

დასაწყისი 12-ნახევარ ს.

1) მსცოვ. **აკაკი წერეთლის** სიტყვით გაიხსნება დღესასწაული.
2) „ახალი კლუბის“ სიმებიანი ორკესტრი დაუკრავს **სადღესასწაულო მარშს.**
3) **სადღესასწაულო მილოცვები.**
4) **მიხ. კავსაძის ხორო.**

## ქართული თეატრი

**კვირას, 26 იანვარს,** 1914 წ., ქართ. დრამატ. საზოგად. გამგეობის მიერ

## კ. დ. ყიფიანის

### 45 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად

ქართულ სცენაზე გამართულ იქნება

### სადღესასწაულო საიუბილეო წარმოდგენა

საღამოთი:

დასაწყისი საღამ. 8 საათზე.

წარმოდგენილი იქნება:

I

მესამე მოქმ. გ. სუნდუკიანცის კომედიიდან:

**პეპო.**

II) მეორე მოქმედება კომედიიდან:

**პარიზელი ბიჭი.**

III) მესამე მოქმედება დ. ერისთავის დრამიდან:

**სამშობლო.**

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნ **მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, ბ-ნნი გ. აბაშიძე, ვ. ალექსი-მესხიშვილი,** გუნია, გედევანიშვილი, ბარათაშვილი და სხვ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 1033

---

22 იანვარს აბასთუმანში გარდაიცვალა იურიევის უნივერსიტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი-მედიკი

## პასიანე მალაქიას ძე თალაქვაძე

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და გარდაცვალებულის მეგობარ-ამხანაგთა **დედა იუსტინა ბექანის ასული, მეუღლე ეფროსინე ნიკოლოზის ასული, ძმები დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე, მეუღლე მისი ალექსანდრა ზაქარიას ასული, პოლიკარპე და სტაქო მეუღლით, დები ვ ლიდა და პასიკო ბაქრაძისა** მეუღლით აბასთუმნიდან ცხედარს გაასვენებენ გურიაში და 29 იანვარს დაკრძალვენ ასკანის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში. 41

---

**მღვდელი იოანნე ქავჟარაძე, მარიამ ქავჟარაძისა, ქეთევან და ზაქარია ქავჟარაძეები** აუწყებენ თავიანთ ნათესავებს და ნაცნობებს უდროოდ გარდაცვალებას—პირველნი ორნი—საყვარელი შვილისა, უკანასკნელნი—ძმისა, ანაპის გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფის

## გიორგი ქავჟარაძისა.

26 ამ თვეს, 12 საათზე, შავნაბადის ქუჩიდან (სუბსარქისის ეკლესიასთან) გვამს მოასვენებენ კუკიის ეკლესიაზე. 27, წირვის შემდეგ, რომელიც დაიწყება დილის ცხრა საათზე, გვამს დაკრძალვენ ამავე ეკლესიის ეზოში. 40

---

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ქლექით გარდაიცვალა 32 წლის

## ნიკოლოზ ლუარსაბის ძე ფურცელაძე

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა მოხუცებულნი დედ-მამა **მართა და ლუარსაბ ფურცელაძენი,** ქვრივი კურსისტკა **ვალენტინა ფურცელაძე,** ძმები: **გრიგოლი, ვასილი, ალექსანდრე, ვლადიმერი** და **და ნინო ფურცელაძეები,** და **მარიამ** და სიძე **ნიკოლოზ მიხკინოვი.** დასაფლავება კვირას, 26 იანვარს **ვერაში.** გამოსვენება მიცვალებულისა სახლიდან 10 საათზე და ოქონის ეკლესიაში. დასაფლავება სამოქალაქო სასაფლაოზე. 39

---

## მარიამ მიხეილის ასულის ლოლობერიძის

## სანერგეში იყიდება

საუკეთესო ჯიშის კახური ვაზები:

**საფერავი** და **რქა-წითელი** დამყნილი ამერიკულ ვაზზე RUPESTRIS DULOT-ზე. ფასი—ცალი ერთი შაური. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ: ბ-ნ **მამულაიშვილს,** ყვავილების მაღაზია **„ხოლეილდორ“,** ერევნის მოედანზე. ადგილობრივ **სადგ. სადახლო** (ყარსის რკინ. გზა), **ბარნაბა მიხეილის ძე ლოლობერიძეს.** 27

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქუჩნიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მრთელიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებ. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მაღალაშვილი გ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულ. | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი ვ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ვენერიულ. სნეულებ, და [illegible] | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოევი ზ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათანასოვი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რეაქციისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ.,** მასსაჟი, **ყვავილის აცრა,** ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 1466

---

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

**შემდეგი წიგნები:**

| | |
|---|---|
| აჩრდილი, ი. ჭავჭავაძისა, ფასი | 5 კ. |
| გლახის ნაამბობი, მისივე | 20 „ |
| გლეხთა განთავისუფლ. პირველ დროებ. სცენები, მისივე. | 7 „ |
| დედა და შვილი, მისივე. | 3 „ |
| ვეფხის ტყაოსანი. | 60 „ |
| თხზულებ. რ. ერისთავისა II, | 40 „ |
| „ ვაჟა-ფშაველასი. | 1 მ.— |
| „ ეკ. გაბაშვილისა. | 1 მ. 20 „ |
| „ პუშკინისა. | 50 „ |
| თორნიკე ერისთავი. აკაკისა, | 35 „ |
| კრილოვის არაკ., აკაკის ნათ. | 50 „ |
| კაკო ყაჩაღი, ილიასი | 5 „ |
| კაცია ადამიანი, მისივე. | 20 „ |
| მეფე დიმიტრი თავდად. მისივე. | 7 „ |
| მოთხრობანი კლდიაშვილისა, | 30 „ |
| მგზავრის წერილები, ილიასი. | 7 „ |
| ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან, წულუკიძისა, | 50 „ |
| ოთარაანთ ქვრივი, ილიასი. | 18 „ |
| რობინზონ კრუზო. | 30 „ |
| უცნაური ამბავი, ილიასი, | 4 „ |
| ქილილა და დამანა. | 1 მ.— |
| ჩარლზ პარნელი. | 25 „ |

**ახლად გამოსული წიგნები:**

| | |
|---|---|
| სიტყვ. ისტ. ხახან. XVIII ს. | 1 მ. 20 „ |
| ბიძია თომას ქოხი, („ნაკადულის“ პრემია), | 1 მ. 25 „ |

ადრესი: **Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. гр. нас.**

---

## ს. ს. ხეთაგურის ბაღოსნობა

**მებაღე შეგირდების მიღება.**

მეხილეობის პრაქტიკულად შესასწავლად სანერგეში უფასოდ აიყვანენ მოწაფეებად ახალგაზრდებს არა ნაკლებ 15 წლისა, უმთავრესად გლეხის შვილებს, რომელთაც მებაღეობა ეინტერესებათ. სწავლა 2 წელიწადს გასტანს; ამ დროს განმავლობაში შეგირდები პრაქტიკულად შეისწავლიან მებაღეობას, რომელსაც ფირმა აწარმოებს: ხილის მუნობას, ბაღის მოვლას და კონსერვების დამზადებას. გამოცდის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სპეციალისტები და სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრნი, ვინც კარგად დაიჭერს ეგზამენს, შესაფერ მოწმობას მიიღებს. მიწერ-მოწერისათვის მიმართვა შეიძლება ამ ადრესით: **ტფილისი სანერგე ს. ს. ხეთაგურისა.**

Тифлисъ питомники С. С. Хетагури. 1577

---

## ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების

## სამუსიკო სკოლა

(ყორღანოვის ქუჩა, რჩეულიშვილის სახლი № 6).

მოწაფეთა მიღება; ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასისა, სიმღერა (solo) თეორიისა, ჰარმონიისა, ენციკლოპედიისა, სოლფეჯიოსი (ნოტების კითხვა) და ხოროს კლასსებში **დაიწყო 2 იანვრიდან,** დილის 11 ს.-დან 2 ს.-დე და საღამოს 5—7 საათამდე, (კვირა-უქმის გარდა) სკოლის კანტორაში.

სწავლის ფასი 65 და 75 მან. წელიწადში გადახდებათ, ნახევარი წლობით წინდაწინ, სპეციალური თეორია მუსიკისა 15 მან. წელიწადში.

**სწავლა დაიწყება 7 იანვრიდან.** 1004

---

საზღვარ-გარეთის კიმონო

## რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა

**ს ა ქ ა რ ხ ნ ო  მ ა ღ ა ზ ი ა მ**

მიიღო დიდ-ძალი **შეკერილი ტანისამოსი** მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრედვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედატანი და ხალათები ცალ-ცალკე.

**ახლად მიღებულია.** ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან.

აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

1632 პატივისცემით **რ. ა. პორტუგალოვისა.**

კ ი მ ო ნ ო

---

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

## დაიწყო ხელის მოწერა

**ია ეკალაძის** (ი. ცინცაძის) მოთხრობათა მეორე ტომის გამოსაცემად. წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს, დართული ექნება ავტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.

**წიგნი გამოიცემა ავტორის ხელმძღვანელობით სუფთად და ლამაზად.**

ხელის მოწერა მიიღება ბბ. ნ. ოცხელის, ის. კვიცარიძის, თ. მთავრიშვილის, „პროვინციის“ წიგნის მაღაზიაში და კერძო აგენტებთან.

**ფასი ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.**

მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდეგის მისამართით: ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი ხოჯევანოვისა. გამომცემელი აპ. **ცინცაძე.** 22

---

**ელექტრონის, რენტგენის სინათლის**

## სამკურნალო

**საწოლი ოთახებით**

## მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

1468

ახალი კლუბი
ქართული თეატრი, სამშაბათს 28 იანვარს, 1914 წელსა
საოჯახო საღამო.
კ. ი. დოდაშვილი წაიკითხავს ლექციას
„მოგზაური და სასახლის მოშაირები ძველ საქართველოში“. ვეფხის ტყაოსნის მუსიკალურ დემონსტრაციით (მელო-დეკლამაცია) მე-XII და მე-XVII საუკუნოებში. მელო დეკლამატორი ნ. კავსაძე. ორკესტრს ხელმძღვანელობს გ-ნი ლეკტორი. კლუბში შესასვლელს იხდიან მამაკაცები 1 მან., ქალები 50 კ., სტუდენტები 25 კაპ. 1007

გორის პირველი კერძო
სამკურნალო
ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა)
განყოფილებებით.
კუთხე სობოროსა და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.
გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:
კობერიძე მ. ხ. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.
წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.
მესხიშვილი ს. ხ. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.
ბრიუკნერი ვ. ვ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.
გინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.
რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.
ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა წამლობა „606“, „914“. 1604

ტფილისის ქალაქის გამგეობა
საყოველთაოდ აცხადებს, რომ
ს. პ. ზუბალაშვილის სახელობის საავადმყოფოს
საბავშვო განყოფილებაში მიიღება ავადმყოფი ბავშვები
13 წლამდე ყოველგვარი ავადმყოფობით გადამდებიანის გარდა. გადამდებიანი ავადმყოფნი მიიღებიან საავადმყოფოს ბარაკების განყოფილებაში). ღარიბთა ბავშვები მიიღებიან უფასოდ, შეძლებულთ კი გადახდებიათ ფასი საერთო წესის მიხედვით, ე. ი. საერთო პალატაში 18 მანეთი, ორსაწოლიანში თითოს 75 მან. და ცალკე პალატაში 120 მ. თვეში. 27

დღეიდან
ვაგზლის სამკურნალოში
(აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)
მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.
ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.
მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.
პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.
ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.
ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.
სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 1—2 ს.
ვაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.
წამლობა „914“.
1023

კახელ მევენახეთა საზოგადოება
„კახეთის“-ს
გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ
26 იანვარს, 1914 წ. ქალაქ თელავში დანიშნულია საზოგადოების
წლიური კრება.
განსახილველი საგნები: 1) განხილვა და დამტკიცება წარსულ 1912—13 საანგარიშო წლის ანგარიშებს, 2) განხილვა 1913—14 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა, 3) განხილვა წევრთა ღვინის დაფასების ინსტრუქციისა, რომელიც მიღებულ იქნა 1913 წლის გიორგობისთვ. 8—10 დღ. საგანგებო კრებაზე, 4) მოხსენება კახეთში სარდაფის აშენებაზე, 5) მოხსენება ვაჭრობის გაფართოების შესახებ, 6) საზოგადოების წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა, 7) მუშათა და მოსამსახურეთა საურთიერთო დამხმარე კასის პროექტის განხილვა, 8) საზოგადოებაზე დარჩენილ ს. ა. ჯანდიერისეულ მამულის შესახებ, 9) მიმდინარე საქმეები, 10) საზოგადოების ახალ წევრთა არჩევანი, 11) გამგეობის ერთი წევრის არჩევანი, ი. ი. თავად ვაჩნაძის მიერ, რომელსაც უთავდება ვადა. 1644

ს. ა. გრიაზნოვი
სხვა მასწავლებლებთან ერთად
ამზადებს
გიმნაზიის, რეალურ და კომერციულ სასწავლებლის დაბალ, საშუალო და მაღალ კლასებისათვის, სამხედრო და მიწის-მზომლის სასწ. პირველ კლასისთვის და სხვა და სხვა მოწმობებზე. უკვე შემდგარია ჯგუფი გიმნაზიის მე-6 და მე-7 კლასისთვის და კომერც. მე-6 კლას. მარიამობისთვის ეგზამენისათვის. იყვანს სრულ პანსიონზედაც. ვერა, იზმაილოვის შესახვ., ბელინსკ. ქუჩიდან № 6, მესამე სართული. 43

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.: ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ბერლინის უნივერსიტეტის
მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვარსხივურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. ღარიბების წამლობა დილ. 9—10 ს.-დე უფასოდ. ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92. 1616

ქ. გორში
(დოქტორანტი).
ექიმი მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ. 1571

საზურთალოზე
მშვენიერ ალაგას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

სამკურნალო
სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა
გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.
ახვლედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.
ბელაპნეე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.
ბოჟუცკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.
ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.
ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.
ვნუკოვი—ქირურგ. ავადმყ, ყოველ-დღე 11—12 ს.
შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.
ასპისოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.
რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
ჩუდნოვსკი—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.
მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.
ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.
კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.
ექ. ქალ. იოსელიანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.
გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.
ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ. და კვ. 4—5 ს.
ბაგდოევი—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
სათვალეების არჩევა.
კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ისტორიკო-ფილოლოგიურ
ფაკულტეტ-დასრულებული
ამზადებს
მოწაფეებს ყველა საშუალო სასწავლებლის ყველა კლასისას საგანგებოდ (სპეციალურად), რუსულში და ისტორიაში, მხოლოდ დაბალ სასწავლებლისას—ყველა საგნებში. ნახვა შეიძლება დილით 9—10-ნახ. ს.-დე, საღ. 3—4-ნახ. ს.-დე.
„კრასნოგორსკის ტუპიკი“, № 8, სახ. ჯაფარიძისა, ზემო სართული. 38

ექიმ ლ. ლ. გუცირიძის
სამკურნალო
ქალ. ბაქოში.
მუდმივ საწოლებით;
სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.
ფასი მორიგებით.
ადრესი: Баку, магазинная, № 50.
1608

ექიმი
ი. ზ. ბძელიშვილი
იღებს თვალისა, შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, წამლობა აგრეთვე ტუბერკულინებით.
19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.), № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლესიის გასწვრივ. მიღება ავადმყოფების შეიძლება დილის 11 ს.—2 ს. და საღამოთი 5—7 ს. 916

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დილის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ექიმი გ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

# ქართული პრესა

წყალ-წაღებული დასელები სხვისთვის დაგებულ მახეში თვითონ გაებნენ და, სხვა რომ ვეღარაფერი მოუხერხებიათ, ეხლა ღობე-ყორეს ედებიან, რათა ცოტათი მაინც გააქარწყლონ ის შთაბეჭდილება, რომელიც სასამართლოს განაჩენებმა მოახდინა. მაგრამ აქაც თავისებურად, დემაგოგიურად, იქცევიან და სასამართლოს განაჩენიდან სხვა და სხვა ადგილებსა ჰგლეჯავენ, ხელოვნურად ერთმანეთს აკოწიწებენ, რომ თავიანთვის ცოტაოდენი სასარგებლო შთაბეჭდილება მაინც შექმნან. ამისთანა ადამიანებთან კამათი არსებითად ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ შევეკითხებით დასელებს, რატომ სასამართლოს განაჩენს **ხავსებით** არა ჰბეჭდავენ თავიანთ გაზეთში? რად **უმალავენ** თავიანთ მკითხველებს განაჩენის **ტექსტს** და რად აწვდიან ამ ნამდვილი ტექსტის ნაცვლად თავიანთ ნაცოდვილევს, თუ სიმართლის დამალვა არა ჰსურთ? სხვა რომ არა იყოს რა, დიდი უზრდელობაა თვით მოსამართლეთა წინაშე. ხალხი მუშაობდა თქვენსავე დავალებით, გამოიტანა განაჩენი და თქვენ არც კი გინდათ ეს განაჩენი **ხავსებით** მოიყვანოთ თქვენს გაზეთში? ჯერ განაჩენი დაჰბეჭდეთ და მერე გაარჩიეთ; ვნახოთ, რას იტყვის მაშინ თქვენი მკითხველი.

⁂

ტერიტორიის დაცვის საჭიროებისათვის გაზეთი „ერი“ სწერს:

„რასაკვირველია, ჩვენ შეგვიძლიან სხვა და სხვა აზრისანი ვიყოთ იმის შესახებ, თუ როგორ ვისარგებლოთ საკუთარის ტერიტორიით, რომელი ფორმა საკუთრებისა და მფლობელობისა უფრო სამართლიანი და სასარგებლო იქნება უმრავლესობისთვის...

„მაგრამ თუ კი თვით ამ მიწის დაკარგვის საფრთხე ჩვენ თვალწინ ამართულა, თუ კი საერთოდ ხელიდან გვაცლიან ტერიტორიას, მაშინ რაღა აზრი აქვს ან ჩვენს, ან სხვის პროექტს, რაღაზე ვიმსჯელოთ ამაზე, კერძო საკუთრება რაციონალურია, თუ საზოგადო, როცა საერთოდ საკუთრებას გვართმევენ, აღარ გვექნება აღარც კერძო და არც საზოგადო. ასეთ შემთხვევაში, რომ ჩვენ დავიყვიროთ ფრთხილად! ნურავის გაატანთ ქართველი ერის საკუთრებას, ეცადეთ, სხვებს არ დაანებოთ თქვენი მიწა-წყალი, ყოველგვარი საშუალება იხმარეთ მის შესარჩენად, განა, ეს წინააღმდეგობა იქნება პრინციპებისა და ყოველდღიური მოქმედების შორის. პირიქით, ჩვენი დღევანდელი მოქმედება პირდაპირ გამომდინარეობს ჩვენი თეორეტიული შეხედულებიდან. ჩვენ ტერიტორიას ვუყურებთ როგორც ეროვნულ სიმდიდრეს, რომელიც ქართველი ხალხის საკუთრებას უნდა შეადგენდეს და როცა მას საფრთხე მოელის, არა თუ შეგვიძლიან, მოვალე ვართ მის შესარჩენად ვიზრუნოთ.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

იმ შეტაკებისა გამო, რომელიც მოხდა ამას წინად ტფილისში პოლიციასა და ყაჩაღებს შორის, რუსეთის მემარჯვენე გაზეთებმა თავისებური განგაში ასტეხეს. ეს ახალი არაა მათის მხრით. გაზეთი „ნოვოე ვრემია“ სულ უბრალო შემთხვევას ათასფრად შეაფერადებს, გაჰბერავს, გააზვიადებს და მთელს ქვეყანას აუწყებს ყიჟინით: კავკასია იღუპება, რუსებს ამოჟლეტას უპირებენ, ქალაქი და სოფელი ავაზაკების სათარეშოდ გამხდარა და არავინ ამას ყურადღებას არ აქცევსო. ამგვარივე ყვირილი მორთო ამ გაზეთმა ტფილისელ პოლიციელების დაჭრის გამო.

ამ გარემოებას ყურადღებას აქცევს გაზეთი „დენი“ და სწერს: „რაც ტფილისში მოხდა, ეს მომხდარა არა ერთხელ ეკატერინოსლავსა, ლოძსა და სხვა ქალაქში, როგორც შიდა რუსეთში, ისე განაპირა ადგილებში. თვითონ პეტერბურგის გვერდით, პსკოვის გუბერნიაში დიდი ხანი არაა რაც დათარეშობდა ყაჩაღთა ძლიერი ბრბო, რომლის საქმე ესაა გაარჩია სასამართლომ. ამ პროცესმა გამოაშკარავა, რომ მრავალი იყო მსხვერპლი როგორც პოლიციელთა, ისე სხვა... ესეთი ამბები ხდებოდა შიდა რუსეთში, სადაც მართველობა აბარია კეთილსამედო ადმინისტრატორებს, და მემარჯვენე პრესას კრინტი არ დაუძრავს ამ ამბების შესახებ“...

მაგრამ მოხდა მსგავსი რამ კავკასიაში და შეიქნა ყვირილი. „ნოვოე ვრემიას“-თანა გაზეთები სჩქეფენ და მეხსა სტეხენ: ჯვარს უნდა ვაცვათ ადგილობრივი მკვიდრნი არა რუსებიო და დაუყოვნებლივ გადავაყენოთ ადმინისტრაცია, რომელმაც ამდენხანს არ მოსპო და არ აღგავა დედამიწის პირიდან გაიძვერა კავკასიელებიო!

რა ვქნათ, ძნელია „ნოვოე ვრემიას“ გულის მოგება!

ამ ნომერში ექვსი გვერდია.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ი. გოგებაშვილისა და ა. ხახანაშვილის ანდერძი** ამ დღეებში განხორციელებულ იქნება.

✦ **სამეურნეო ჟურნალი.** როგორც ვწერდით, ქართულმა სამეურნეო საზოგადოების საბჭომ 2,000 მან. გადასდო საკუთარ სასოფლო სამეურნეო ჟურნალის გამოსაცემად. ამ აზრით საბჭომ დაადგინა, შეიძინოს ვ. ი. რცხილაძისაგან სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი“. ჟურნალის გეგმისა და პროგრამის შესადგენად არჩეულ იქმნა კომისია, რომელშიაც შედიან: ი. ო. იოსელიანი, ს. ნ. ყაზახიშვილი, ი. გ. ქუთათელაძე, პ. გ. მელია, ს. თ. ხუნდაძე და ვ. ი. რცხილაძე.

✦ **ბიბლიოთეკა.** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართოს მას, დააარსოს სიღნაღში უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო ვ. მოსულიშვილის პასუხისმგებელ გამგებლობით.

✦ **ახალი ბიბლიოთეკები.** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, რათა ბიბლიოთეკა-სამკითხველოები დააარსოს ოზურგეთის მაზრის შემდეგს ადგილებში: ჯუმათსა, ნანეიშვილის საზოგადოებასა, ნიგოითსა და ღუამბზუში. თხოვნები განიხილა საზოგადოების ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა და სახალხო კითხვების მომწყობმა კომისიამ და დაადგინა: გადასცეს იგი დასაკმაყოფილებლად წ.-კ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას.

✦ რედაქციამ მიიღო ახალი რუსული წიგნი მაქსიმ ლიპკინისა „**Долина Свэти**“. **имеретинское предание XII в.** „სვეტის ველი. XII საუკ. იმერული თქმულება“. პოემა დაწერილია ლექსად. წიგნი გამოცემულია ძლიერ სუფთად და ჩართული აქვს სურათები ავტორის, შოთა რუსთაველის, თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის.—წიგნს შემდეგში ვრცლად გავაცნობთ მკითხველებს.

✦ შაბათს, 1 თებერვალს, ქართულ თეატრის დარბაზში გიორგი მეფარიშვილი წაიკითხავს ლექციას „სიცოცხლის ღირებულება“.

✦ სტიპენდიები. დღეს, დილის 11 საათზე, კრება ექნება ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობას თავისუფალ სტიპენდიების გასანაწილებლად. სულ თავისუფალია ოთხი სტიპენდია. ამათში ერთი სტიპენდია მიეცემა უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლის მოსწავლეს. სტიპენდიების მთხოვნელი ასზე მეტია. კრებას დაესწრება ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელი ვ. ი. რცხილაძე.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ ტფ. შევარდენთა საზოგადოების წარმომადგენელნი ბათომს იქმნენ გაწვეულნი, სადაც არსდება შევარდენთა საზოგადოება.

## სასწავლებლებში

✦ ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების **სასკოლო სექცია** უკვე იღებს საზოგადოების სკოლების მასწავლებელთაგან სკოლებში გავლილ მასალების პროგრამას. დღემდე უკვე ექვსის სკოლის მასწავლებელმა წარმოადგინა.

## ქუთაისი

✦ 23 იანვარს დეპუტატთა საკრებულოში გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. დავით ნიჟარაძის მოწვევით შესდგა კრება, რომელსაც დაესწრნენ სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენელნი და კერძო პირები.

კრებას გუბერნიის წინამძღოლმა მოკლედ გააცნო მიზანი ქუთაისში სამეურნეო ბანკის დაარსებისა. ხსენებული ბანკი, სთქვა მან, სხვა ასეთი ტიპის ბანკებისგან იმით განსხვავდება, რომ წევრებად განზრახულია წვრილი კრედიტის დაწეს ბულებათა მიღება, რითაც ის მჭიდ როდ შეკავშირებული იქნება მთელი გუბერნიის სასოფლო-მეურნ ობასთან. შემდეგ გაიმართა მსჯელობა წესდების შესახებ, რომლის საბოლოოდ შესასწორებლად არჩეულ იქნა 7 კაცისაგან შემდგარ კომისია. დამფუძნებლებმა რწმუნებულად აირჩიეს შორაპნის მაზრ წინამძღოლი თავ. პეტრე წერეთელი, რომელსაც მიენდო სამინისტრო წინაშე შუამდგომლობის აღძვრა და წესდების დამტკიცება.

✦ 23 იანვრის ქ. შ. წ. კ. ს. ქუთ. განყოფილების გამგეობამ დაადგინა, ძიილოს ძმ. გრ. და ზურაბ გველესიანებისაგან მათის მამის ნაანდერძევი შემოწირულობა სამასი თუმანი, რომლის ნახევარიც განყოფილების სრულ განკარგულებაში დარჩება, ხოლო მეორე ნახევარი ექნება განყოფილებას სესხად და ნაწილ-ნაწილად შეიტანს ქუთ. საეტნოგრაფიო საზოგადოებაში, სადაც გველესიანის სახელზე დაარსდება ერთი განყოფილება.

თავჯდომარემ ამავე კრებაზე განაცხადა, რომ მან მიიღო ერთი პირისაგან 600 მ. განყოფილების სასარგებლოდ და შეპირებულია კიდე 1000 მ. შემომწირველი უცნობად უნდა დარჩეს. გამგეობამ დაადგინა, ეს ფული გადასდვას ახალი სტამბის გასაძლიერებლად.

კრებამ დაადგინა მუხიანის სამკითხველოს შესახებ შეეკითხოს უმთავრეს გამგეობას, გადმოსცემს თუ არა იგი ხსენებულ სამკითხველოს ქუთ. განყოფილებას თავის მფარველობის ქვეშ, რომ უკეთ მოაწ რიგოს მისი საქმეები თავის ინს რუქციის მიხედვით.

კრებამ მოიწონა განცხადება ორი ფორმა განყოფილების სამკით ხველოების შენობებზე სოფლ ასაკრავად.

## რაჭა

✦ რაჭიდან ჩამოსულმა გვიამბ რომ შარშანდელი მოსავლობის გამო ხალხი დიდ გასაჭირშია. ფუთ სიმინდი მანეთნახევრად ფასობს. უმაღლესი მთავრობის განკარგულებით მაზრის უფროსმა გლეხებს გამოუცხადა, ხაზინიდან შეგიძლიან გაიტანონ ფული, ვისაც რამდენ სჭირდება სამი წლის ვადით უსარგებლოდ. მხოლოდ მის გადახდაზ ხელი უნდა მოგვიწეროს შეძლ გლეხებმა, რომელთაც სესხი არ სჭირდებათ. ამაზე ეს უკანასკნელ ნი არ თანხმდებიან, რადგან ფიქრობენ, რომ გაჭირვებული გლეხები სესხს ვერ გადაიხდიან და იგი ჩვენ გადაგვხდებაო.

ამგვარად მთავრობის სესხით დღევანდელ გასაჭირის დროს გაჭირვებული გლეხები ვერ სარგებლობენო.

## კავკავი

✦ **კავკავის ქართულ სცენის მოყვარეთა წრემ** გადასწყვიტა, გადაიხადოს მსახიობ კოტე ყიფიანის იუბილე. წრის რეჟისორად არჩეულია ტრიფონ შუბლაძე.

## თიანეთი

✦ **დაჭრა.** ალექსანდრე ღვინიაშვილმა ჩხუბის დროს ხანჯლით დასჭრა აბრამ ჯამარული.

✦ **დაჭრა.** ს. შატილში ჩხუბის დროს გუგო გოგოჭურმა თოფით დასჭრა მგელა ქიჩქარაული.

## თელავი

✦ **დაჭრა.** ჩხუბის დროს ზაქარია ცერცვაძემ დასჭრა ნიკოლოზ ოქანაშვილი.

## სიღნაღი

✦ **უბედური შემთხვევა.** ს. ანა გაში ვახო თანდაშვილმა თოფით უცაბედად მოჰკლა კარდენახ მცხოვრები ნინო ხელაშვილი.

## ტფ. მაზრა.

✦ **უბედური შემთხვევა.** კობი მონასტრის ხაზინადარი ბერ-მონა ზონი გაბრიელი ტფილისიდან მონასტერში ბრუნდებოდა. მონასტრიდან ხუთის ვერსის მანძილზე ეტლ ხევში ჩაიჩეხა. ბერ-მონაზონი ის მძიმედ დაშავდა, რომ იქვე გარდაი ცვალა.

# დღიური

კოტე ყიფიანი

არიან ადამიანები, რომელთა სახელებს ნათლად წარმოვიდგენთ უნებურად, როდესაც კი თვალს გადავავლებთ ჩვენს ახლობელს კულტურულს ცხოვრებას და გავიხსენებთ ქართული თეატრის მნიშვნელობას ამ კულტურის განვითარებისათვის. არც ერთი მოვლენა არ ყოფილა წასული საუკუნის მეორე ნახევარში ისე ძლიერი და ნაყოფიერი ჩვენის ეროვნულის აღორძინებისა და სულიერის შემოქმედებისათვის, როგორიც იყო ჩვენი თეატრის დაარსება, ზრდა და წარმატება: თეატრში იხილა და იცნო თავისი თავი დაობლებულმა ერმა, აქ გაიგონა ხელახლა ძალით ჩაჩუმებულის დედის ტკბილი ნანა, აქ იგემა მხატვრობით განმშვენიერებული ტანჯვა თავის ბედისა და შეიყვარა ხელოვნების ტაძარი, როგორც ძვირფასი თავშესაფარი დევნილი ეროვნული თვითარსებობისა, სალარო ერის მწარე განცდისა და ერის გამამხნევებელი იმედის და სასოებისა.

ვერ ნახავთ ქართველს, ოდნავად შეგნებულს, რომლისთვის თეატრი არ იყოს სატრფიალო დაწესებულება, რომლის ლამაზი და საამური მოგონებანი მჭიდროდ არ იყოს გადაბმული ქართული თეატრის მოღვაწეობასთან. არავინაა, რომ ერთხელ მაინც თავის სიცოცხლეში არ აღფრთოვანებულიყოს ქართულის წარმოდგენის ზეგავლენით და არ მისწდომოდეს აზრთა და გრძნობათა მწვერვალებს. არც ერთი დაწესებულება, სკოლა, საგანი არაა ჩვენში ისე საყოველთაო, საერთო, ყველასთვის მისახვედრი და მისაწვდომი, ყველასთვის ძვირფასი, როგორიცაა თეატრი.

და ამ სიყვარულში, ამ წმინდა მისწრაფებაში ღრმადაა ჩაქსოვილი იმ სახელების სიყვარული და პატივისცემა, რომელთაც შექმნეს ქართული თეატრი, რომელთაც აღაშენეს ქართული ეროვნების და შემოქმედების ტაძარი და აღზარდეს სათუთად, ნაზად, ვით პირმშო შვილი, გმირულის თავგანწირულობით და უანგარობით ის კეკლუცი, მომხიბლავი, საყვარელი ასული, რომელსაც ვუწოდებთ ქართულ სასცენო ხელოვნებას. ამ სახელებში ერთი პირველთაგანი არის კოტე ყიფიანის სახელი, რომლის ორმოცდა ხუთი წლის სასცენო მოღვაწეობას დღესასწაულობს ჩვენი საზოგადოება დღევანდელს დღეს.

კ. ყიფიანი მეტად გარკვეული პიროვნებაა ჩვენს ცხოვრებაში, და მისი დიდი ღვაწლი ქართული თეატრისათვის ყველასათვის ცხადია და ნათელი. მისი სახელი მსხვილის ასოებით სწერია თეატრის ისტორიის ფურცლებზე. მისი დახატული გმირები არასოდეს არ წარიშლებიან ჩვენის ხსოვნიდან; მისი შექმნილი სახეები უკვდავ აჩრდილებად სამარადისოდ დარჩებიან ქართულ სცენაზე. მისი სვიმონ ლეონიძე მუდამ მოგვაგონებს თავის შეუდრეკელობით მოვალეობას მამულისადმი, მისი ანანია გლახა თვალწინ წამოგვიდგება, როგორც გული ხალხისა გაუტეხელი და დაურღვეველი, მისი შეველოხა მწვავედ გვაგრძნობინებს ტანჯულის და ჩაგრულის ადამიანის გამწარებულს სულისკვეთებას, მისი ლირი გაგვაგონებს ტახტიდან გადმოგდებულ მოხუცი მეფის ვაების ხმას. ეს აჩრდილები ძვირფას ფურცლებს გადაუშლიან წინ ქართულს სცენას და წარსულის გაცხოველებით ნიჭსა და ძალას მომადლებენ აწმყოსა და მომავალისათვის.

კ. ყიფიანს არ დაივიწყებს მადლიერი ქართული თეატრი და ქართველი ერი. ამ თეატრს შესწირა მან თავისი ძალღონე, სიყმაწვილე, შრომა, სიცოცხლე; მას მიუძღვნა მთელი თავისი სიყვარული, მის აყვავებას და კეთილდღეობას შეასაკუთრა, რაც კი ჰქონდა ძვირფასი და საგანძური. სამართლიანად სწერს მისი ბიოგრაფი ივ. გომართელი: „კოტე ყიფიანი როცა ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა, წინ ორი გზა დახვდა—ერთი საპირადო, ვარდებით, პატივით, დიდი ხარისხით, წარჩინებით და სრული კონებრივი კმაყოფილებით მოფენილი; მეორე კი საზოგადო, ეკლებით, აუტანელის შრომითა და ყოველგვარის შევიწროვებით უხვად მორთული. კოტე ყიფიანი ასეთ მდგომარეობაში იყო, მას პირად ბედნიერებას ისე უწყობდა ყოველივე ხელს—ნიჭი, განათლება, მეტად გავლენიანი მამა,—რომ სხვა მის ალაგას უსათუოდ აირჩევდა პირველს გზას. მაგრამ კოტეს ბუნება სხვა იყო. რას მიქვია პირადი ბედნიერება, როცა სამშობლოს აღდგენა ესაჭიროებაო,—უთხრა მას კეთილშობილმა გულმა და კოტეც დაადგა მეორე გზას, რომლისთვისაც არც გადაუხვევია“.

დიდი სულიერი სიმშვენიერეა ეს თავისთავად; მაღალი გმირული კეთილშობილება გამოსჭვივის ამ გადაწყვეტილებიდან, რომელსაც კიდევ უფრო ამკობს და ალამაზებს ძლიერის ნიჭით მოსილი ნაყოფიერი მოღვაწეობა კოტე ყიფიანისა სასცენო და სამწერლო სარბიელზე. ეს მოღვაწეობა არ იყო სიხარული; არა, იგი ტანჯვა და მსხვერპლი იყო, როგორიც არის ცხოვრება დღეს ყოველის ჩვენის გულწრფელი მოღვაწისა. მით უფრო დიდი და ღრმა უნდა იყოს მადლობა, პატივისცემა და სიყვარული ამგვარის ადამიანისადმი. და მის ხანგრძლივს, ეკლითა და ნარით მოფენილ სიცოცხლეში ერთხელ მაინც მივიდეთ მასთან ყველანი სადღესასწაულოდ, ერთხელ მაინც მივუძღვნათ სავსე გულით სიხარული, ერთხელ მაინც ვუთხრათ თბილად, ნაზად, სიყვარულით, უზომოდ დავალებულებმა:

გმადლობთ, ძვირფასო მასწავლებელო!

გმადლობთ!.. გმადლობთ!

სახელი და დიდება შენისთანებს, რომელნიც არა მსხვერპლს არ ერიდებიან და „სამშობლოს შავი ბედის უღელში შებმულნი ერთგულად ეწევიან მას ბრწყინვალე მომავალისკენ!..“

**სიტყვა.**

# გაზეთ „ფიქრი“-ს ბრალდების გამო

„ფიქრი“-ს საახალწლო ნომერში დაიბეჭდა და შემდეგ დასელთა სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდეს წერილი რედაქციის მიმართ გლეხთა გიორგაძეებისა. ზემოხსენებულ წერილის ავტორნი ბრალსა სდებდნენ დეპუტატს ვარლამ გელოვანს—ჩვენი საქმის საკასაციო ვადა გაუშვა და ამასთანავე ერთად მოგვცა ტყუილი ცნობა იმისა, რომ საკასაციო საჩივარი შევიტანე სენატშიო.

ამ საქმის გამო ჩვენ ნამდვილი წყაროებიდან გავიგეთ შემდეგი: მართალია, ვარლამ გელოვანმა გიორგაძეების საქმის გამო საკასაციო ვადა გაუშვა, მაგრამ ეს მათთვის გელოვანს არასოდეს არ დაუმალავს. გელოვანი ჯერ თვითონ შეეცადა ვადის აღდგენას და მერე, პეტერბურგში წასვლის შემდეგ, ვადის აღდგენის საქმის წარმოება მიანდო ერთს თავის ამხანაგ—ვექილთაგანს. გელოვანმა პეტერბურგიდან დეპეშით მოსწერა გიორგაძეებს, თუ ვინიცობაა ვადის აღდგენა ვერ მოხერხდა, მე გიზღავთ მთელ ზარალსაო.

გელოვანს არავითარი ცნობა არ მიუცია იმისა, რომ მან ვითომც გადაიტანა საქმე სენატში. იგი, გიორგაძესთან ერთად, ბალტაში ყოფილა და ამოუწერია სხვა და სხვა ცნობა მათი საქმის შესახებ, სხვათა შორის, ისიც, რომ ხაზინის რწმუნებულმა ამა და ამ ნომრით და თარიღით შეიტანა სენატში საჩივარიო. ეს ცნობები დაწერილი იყო ნახევარ ფურცელ ქაღალდზე, რომელიც შემდეგ წაიღო გიორგაძემ, რადგანაც იქ ხაზინის საჩივრის ნომერიც იყო.

ასეთია მოკლედ საქმის გარემოება. დაწვრილებით შემდეგ გავაცნობთ მკითხველებს.

# კოტე ყიფიანის იუბილეს გამო

(ბიოგრაფიული ცნობები)

კოტე ყიფიანი დაიბადა 1849 წელს, 3 მარტს. მის მშობლებს იმდენად დიდი სახელი აქვთ მოხვეჭილი, იმდენი ღვაწლი მიუძღვის სამშობლო ერის წინაშე, რომ არ მოიპოვება არც ერთი ქართველი, რომელმაც მათი სახელი და ვინაობა არ იცოდეს რომელიც მოწიწებით არ იხსენიებდეს დიმიტრი ყიფიანის სახელს.

პატარობიდანვე კ. ყიფიანის აღზრდას დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული. ჯერ ოჯახშივე საფუძვლიანი სწავლა მიიღო. 1864 წელს კოტე მიაბარეს საუკეთესო პანსიონში დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანის. 1886 წელს იგი გამოიყვანეს და მამამ წაიყვანა პეტერბურგს, და რადგან კოტეს ხატვის ნიჭი აღმოაჩნდა, მიაბარა სამხატვრო აკადემიაში. მაგრამ წლის შემდეგ თვალების ტკივილის გამო იძულებულ იყო ხატვისათვის თავი მიენებებინა. მან გადასწყვიტა გიმნაზიის გათავება და კიდეც შეასრულა თვისი გადაწყვეტილება. ჩააბარა გამოცდა სიმწიფის მოწმობის მისაღებად და შევიდა პეტროვსკის სააგრონომიო აკადემიაში. მთელი კურსი გაიარა, მაგრამ საბოლოვო ეგზამენების ჩაბარება ვერ მოასწრო, რადგან ამ ჟამად მამა მისი ავად იყო და დეპეშით დაიბარა სამშობლოში. 1873 წელს იგი შევიდა სამსახურში სააქციზო უწყებაში, მაგრამ მალე იმ სამსახურს თავი მიანება და ორი წლის შემდეგ მეფის მოადგილემ დიდმა მთავარმა დანიშნა იგი ბორჯომის მამულების გამგის თანაშემწედ, მაგრამ აქაც იძულებული გახდა მალე თავი მიენებებია სამსახურისათვის. 1868 წელს იგი პირველად გამოვიდა ქართულ სცენაზე და მას აქეთ დაუღალავად მოღვაწეობს სამშობლო ხელოვნების ასპარეზზე.

რედაქციამ მიიღო შემდეგი დეპეშები:

**ეკატერინოსლავიდან:** სალამი სამშობლო სცენის დედაბოძს, ძვირფას იუბილიარს კოტე ყიფიან. ვაშა მეფე ლირის საუკეთესო ამსრულების მადლიან ნიჭს.

**ეკატერინოსლავის** სამთო ინსტიტუტის ქართველთა სათვისტომო.

**თელავი.** წერა-კითხვის საზოგადოების თელავის განყოფილება ქართული თეატრის უნიჭიერესს ხელოვანს კოტე ყიფიანს ულოცავს დიდი ხნის ამაგის დღესასწაულს და უსურვებს დღეგრძელობას.

გამგეობა.

**შემოწირულება.** ქუთაისის სადეპუტატო საკრებულოდან 200 მან., თინათინა გიორგის ასულის ფორაქაშვილისაგან 10 მ., თ. დ. ი. სუმბათაშვილისაგან 10 მ., კნ. ქეთ. ჯიბ. ამირაჯიბისაგან 10 მან., ელისაბედ იოსებ მამაცაშვილის ასულის საგინაშვილისაგან 5 მან. სულ 235 მან.

# ფოთლები

8

### რაბინდრანათ ტაგორი

გასულს ზაფხულს შემთხვევით „რუსსკია ვედომოსტის“ ერთი ნომერი ჩამივარდა ხელში, სადაც, სხვათა შორის, დიონეოს წერილი იყო მოთავსებული ინდოეთის თანამედროვე მგოსნის რაბინდრანათ ტაგორის შესახებ; დიონეოს ცნობით, ინდოეთის მგოსანს თვითონ ეთარგმნა ინგლისურად პროზით თავის ლექსთა კონა—„გიტანჯალი“ (მსხვერპლ-შეწირვანი), რომელიც რამოდენიმე თვის განმავლობაში ოთხჯერ გამოცემულიყო; თანვე ავტორს რამოდენიმე ლექსიც მოჰყავდა ამ უცნობისა და უცნაურის ხელოვანისა.

ძლიერი იყო და სულ-ახალი გულნება ამ ორიოდე ლექსით გამოწვეული; მე თარგმნა სრულიად არ მეხერხება, მაგრამ ერთმა ლექსმა ისე დამატყვევა, რომ იქვე ვთარგმნე იგი; ეს ლექსი იყო—„ბავშვები ზღვის პირას თამაშობენ“, რომელიც „ოქროს ვერძის“ მეოთხე რვეულში დაიბეჭდა; ამ პატარა ქმნილებაში მთელი სიბრძნეა ასულდგმულებული,—და მინდოდა გამეგო, თუ რა შთაბეჭდილებას გამოიწვევდა იგი პოეზიის მოყვარულთა შორის ჩვენში; მაგრამ ლოდინი სასურველ არ ამისრულდა: რაღაც ბუნდოვანია,—ამბობდა მრავალი მათგანი, აშკარა წუნის დასაფარავად.

„რაღაც ბუნდოვანი“,—ეს სიტყვა ჩვენში თითქმის ყველას პირზე აკერია; რა ნაწარმოებია, ბატონო, თუ კი იგი ვერ გავიგე,—აი რა გაისმის ხშირად ჩვენში; მაგრამ აქვს რაიმე ფუძე ასეთს მტკიცებას? შექსპირის „ჰამლეტს“ უბრალო მკითხველი ვერ გაიგებს, ხოლო ამით იგი ქმნილება ოდნავ არ ჰკარგავს თავის გენიალობას; შესაძლოა რომელიმე სმენა-განუვითარებელს ბეტჰოვენის სიმფონია „კაკაფონიად“ მოეჩვენოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიმფონია „ბუნდოვანია“; ამ შემთხვევაში ბნელი ნაწარმოები კი არა, თვითონ მკითხველს თუ მსმენელს მიუძღვის: ნაწარმოების გაგებისათვის საჭიროა ერთგვარი დონე განვითარებისა; და ბოლოს და ბოლოს რომელიმე ქმნილებისათვის ის კი არ არის დამახასიათებელი, გაიგო თუ არა იგი ყველამ, არამედ ის, თუ ვინ რა გაიგო მით; უბრალო მკითხველს რუსთაველი უთუოდ „სადად“ მოეჩვენება, მაგრამ უაილდი მასში სიბრძნეთა ზღვას დაინახავდა; ჰერაკლიტოს ეფესელი მრავალთათვის „ბუნდოვანი“ იყო (აკი „ბნელიც“ უწოდეს მას), მაგრამ ფრიდრიხ ნიცშესათვის იგი ყველაზე უფრო უნათლესია.

მაგრამ დავანებოთ ამას თავი: დღეს ინდოეთის მგოსანს „რაღაც ბუნდოვანს“ ვეღარავინ უწოდებს; რაბინდრანათ ტაგორმა დაატყვევა მთელი ევროპა და რამდენიმე თვის წინად ნობელის პრემიაც მიიღო; მოხდა უმაგალითო ამბავი: ჯილდოს აძლევენ სრულიად უცხო მწერალს და მერე რისთვის? პატარა ლექსთა კონასათვის და ისიც ნათარგმნისათვის! ალბად, ამ ვითომდა „ბუნდოვან“ მგოსანში ისეთი სინათლე დაინახეს, რომელმაც თვალნი მოსჭრა ხელოვნების ნამდვილ დამფასებელთ.

და ჭეშმარიტად ღვთიურია ტაგორის მარჯვენა; ჩემთვის ხელოვნური ნაქნარი მხოლოდ მაშინ არის გენიალი, როცა იგი მარადობის სამთავროში ამაფრენს და ჩემს „მეს“ მარადობის ნაჭრად მაგრძნობინებს; ამ მხრით ტაგორის ყოველი სიტყვა მართლაც რომ ის ლურჯი ფრთაა, რომელიც უკვდავების სუნთქვას მოგვბერს; სული პაწა მაგალითი:

„თუ შენ არა გსურს ლაპარაკი, მე ავავსებ მაშინ ჩემს გულს შენი დუმილით და ჩავიკეტები შიგ; მე ვიქნები მჯდარი ჩუმად და ლოდინით სავსე, ვით ღამე, უძრავად ფხიზელი და თმენით თავდახრილი; დილა უთუოდ მოვა, ბნელი გაჰქრება და ხმა შენი ოქროს ჩქერად იწყებს სხმას ცათა შორის; და მაშინ სიტყვები შენნი აურინდებიან სიმღერებით ჩემ ფრინველთა ყველა ბუდეთაგან და ჰიმნი შენნი ყიავილებად გაიშლებიან ჩემს ტყეთა ყოველს კუთხეში“.

ან კიდევ: „მისუსტებული იმედით დავდივარ მე ოთახში და ვეძებ „მას“ ყოველს მის კუთხეში, მაგრამ ვერ ვნახულობ სასურველს; სახლი ჩემი დიდი არ არის და რაც გაჰქრა, არაოდეს დაბრუნდება ახლად; მაგრამ ვრცელია, უფალო, საცხოვრებელი შენი და მის ძებნაში მე მოველ

# იმერეთის ამბოხება

1819—1820 წ.

(დასასრული *)

გენერალი ველიამინოვი ქუთაისკენ წავიდა. გზაში ის გორში შეჩერდა, აქედან უნდა გაეგო დაწვრილებით ამბები, თუ რა ხდებოდა იმერეთში და სწორედ აქ შემდეგი ცნობები მიიღო მაიორ კაშჩენკოსაგან, რომელიც სოფ. მარანში იდგა; პოლკოვნიკ ზგორელსკის რაზმი სრულიად დამარცხდა გურიაში და დაჰკარგა ზარბაზნებიც, ჩოხატაურის პოსტი სრულიად ამოწყვეტილ იქმნა, ეს ამბავი სწრაფად გავრცელდა და ყველა უკმაყოფილონი ერთად შეჰყარა. თავადი ი. აბაშიძე იმერეთში შემოიჭრა, მდინარე ჩოლაბურზე გასწყვიტა ყაზახების პოსტი და იმერეთსა და ქართლს შუა მიმოსვლა მოსპო. გურულებმა დაიჭირეს სოფ. ქალადიდი და ეგერთა როტას რიონისაკენ დაახვიეს. სამეგრელოში გიორგი დადიანმა დაიჭირა ყულევის (რედუტ-კალეს) გზა და არ უშვებდა არც ჯარსა და არც ტრანსპორტს. ამ ამბებმა ველიამინოვი დაარწმუნა, რომ ამბოხებას ხალხში ღრმად მოუკიდია ფესვი და მის მოსასპობად უკანასკნელი ღონისძიება იყო საჭირო.

„ძნელი გამოსაკვლეველია იმერეთის საქმეები, სწერდა გორიდან გენერალი ველიამინოვი მთავარმართებელს ერმოლოვს,—არ ვიცი, რიგიანად თავს დავაღწევ თუ არა! თუ ნახევარიც მართალია, რასაც მაიორი კაშჩენკო მატყობინებს, იმერეთის საქმეები ეხლა უფრო ცუდად არის ვინემ შარშან იყო“.

ველიამინოვის აზრით პოლკოვნიკ ზგორელსკის დამარცხების მიზეზი მისივე უჭკუობა იყო.

ველიამინოვმა ასეთი თავდარიგი დაუჭირა მთელ ჯარს, რომელიც გაფანტული იყო იმერეთში, უბრძანა, თავი მოეყარათ სოფ. მარანში და ქუთაისში. ზოგიერთ ადგილებს პოსტები დასტოვა გზის დასაცველად. პოლკ. ზგორელსკის უბრძანა დაუყოვნებლივ გამოსულიყო გურიიდან, სადაც შეეძლოთ მას გარს შემორტყმოდნენ გურულები და დაემარცხებინათ, მას ებრძანა ჩოხატაურში დაბინავება. სურამში გაიგზავნა 7 როტა მეშვიდე კარაბინერის პოლკისა და ორი ასეული ყაზახი რუსი სოფ. ყვირილაში, აქედან ისინი თვალყურს ადევნებდნენ ყველა ახალციხეს მიმავალ გზებს. იმავე დროს თითონ ველიამინოვი ორი ბათალიონით ხერსონის გრენადერის პოლკისა და ერთიც ტფილისის პოლკისა წამოვიდა გორიდან ქუთაისისაკენ, სადაც იყო მარტო ერთი ბათალიონი მინგრელსკის პოლკისა.

როცა გენერალმა ველიამინოვმა სოფელ მოლითს მოაღწია, აქ მდინარე ყვირილის ფონთან, მიეგებნენ შორაპნის მაზრის თავად-აზნაურნი და დაარწმუნეს ის, რომ მათ მხარეში სრული სიწყნარე და მშვიდობიანობა სუფევდა. ხოლო ოც-და-ათი ვერსის მანძილზე მათგან სოფ. სვირში იმყოფებოდა თავადი აბაშიძე ოთხასი კაცით. თავად-აზნაურობამ ველიამინოვს ურჩია თავს დასხმოდა აბაშიძეს და, საჭიროება თუ მოითხოვდა, თავიანთ მილიციასაც პირდებოდნენ.

ველიამინოვმა დიდი ყურადღება არ მიაქცია აბაშიძეს. ისეთი მცირე მეამბოხენი, როგორიც მას ჰყავს, ვერ გაჰბედავს ჩემზე მოსვლასაო,—სთქვა ველიამინოვმა და მე რომ თითონ სვირისკენ წავიდე, ამით მხოლოდ ქუთაისში მისვლას დავაგვიანებდიო. ველიამინოვმა შორაპნის მაზრის თავად-აზნაურობაა დაითხოვა და თითონ კი ქუთაისს წამოვიდა, სადაც მეორე დღეს 25 აპრილს ადრიანად მოვიდა.

ქუთაისის მდგომარეობით ველიამინოვი ძლიერ უკმაყოფილო დარჩა. მთელი იმერეთის თავად-აზნაურობა, სწერს ის ერმოლოვს, გარდა აბაშიძისა, ჩვენი მომხრე არიან, მათი მილიციელები მზად არიან სდევნონ მეამბოხენი. მარტო ივანე აბაშიძე ოთხასი კაცით გამაგრებულია ხანის ხეობაში და ხელთ უჭირავს ახალციხის გზა. დავით ბატონიშვილს კიდევ უფრო ცოტა ბრბო ყავს და ხშირად ქუთაისის ახლოსაც მოდისო.

ველიამინოვმა ხელ-ახლავ უბრძანა ჯარს ნაწილ-ნაწილ დაყოფა და მეამბოხეთა დევნა.

„ხვალ, 7 აგვისტოს, თუ ამიდი ხელს არ შემიშლის, ვაპირებ ჩხერში წასვლას და იქიდამ კი არგვეთს ანა და საითკენაც გარემოება მოითხოვს, სწერს ერმოლოვს ველიამინოვი. თან მექნება ზარბაზნებიც, სხვების რისხვის დასაცემად, ავაოხრებ ვახტანგ და დავით ბატონიშვილების მამულს. შეიძლება, მათ რაზმებსაც სადმე მოვასწრო“.[1] არქივებში არაფერი ცნობა არ მოიპოვება, წავიდა ველიამინოვი არგვეთისკენ თუ არა. ვგონებ არ უნდა წასულიყო, რადგან ამავ დროს სამეგრელოდან ამბავი მოუვიდა, რომ რუსის ჯარი ხელ-ახლავ დამარცხდაო.

ორ მაისს პოლკოვნიკმა ზგორელსკიმ ჩოხატაურიდან სოფ. მარანში ტრანსპორტი გაგზავნა დაჭრილი ჯარის კაცებით. ტრანსპორტს იცავდა ორი როტა ქვეითი ჯარისა და 30 ყაზახი რუსი. ტრანსპორტთან ჯარს მიჰყავდა ტყვე გურულებიც. ერთ მაღლობ ადგილს ტრანსპორტს თავს დაესხა თავადი ერისთავი 500 კაცით. ასტყდა საშინელი ბრძოლა. ტრანსპორტის უფროსმა შტაბს-კაპიტანმა ორბელიანმა დაინახა რა, რომ მეამბოხეებთან ვერას გახდებოდა, მაშველი ჯარი სთხოვა პოდპოლკოვნიკ ზგორელსკის, რომელმაც ასი კაცი და ერთი ზარბაზანი გაუგზავნა. ტრანსპორტის უფროსობა კაპიტან ვოინოვს ჩააბარა. ეს ის ვოინოვი იყო, რომელიც პუზირევსკის თან ჰყავდა შემოქმედში. ვოინოვმა ცოტა წინ წაიწია, მაგრამ ისევ შეაყენა ჯარი და გაგზავნა უფროსთან მოსახსენებლად, რომ გურულები არ მიშვებენ და არ შემოძლიან წყალს გაღმა გასვლაო. ამათ ფიცი დასდეს, დაწყდნენ და იომონ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის, თუ თავიანთ ტყვე გურულებს არ გაანთავისუფლებენო. ამასობაში კიდევ მოვიდა ორი როტა მაშველი ჯარი და ვოინოვი როგორც იქმნა გავიდა სოფ. მარანში. მას მხოლოდ ოთხი კაცი დაუჭრეს.

ის გარემოება, რომ რუსის ჯარები უფრო ძლიერი იყვნენ, შეიარაღებულიც ზარბაზნებითა, მაგრამ ვერას ხდებოდნენ მეამბოხეებთან, ძლიერ ამხნევებდა უკანასკნელთ.

ხუთ მაისს გიორგი დადიანი თავს დაესხა პროვიანტის მოხელე ვაშკლევიჩს, რომელსაც დიდძალი ფული მიჰქონდა ყულევში. ყაზახები, რომლებიც მას ახლდნენ ხელიდან გაუსხლტნენ გიორგის, ხოლო ვაშკლევიჩი კი დაატყვევა. აქედან გიორგი დადიანი ხელ-ახლავ თავს დაესხა ყულევიდან მომავალ ტრანსპორტს, რომელსაც თოფ-წამალი მიჰქონდა მარანში. ტრანსპორტს იცავდა 52 ჯარის კაცი. ბრძოლამ ხუთ საათს გასტანა, გიორგი დადიანმა გასწყვიტა 25 კაცი, დანარჩენებიც უკანასკნელ მდგომარეობაში იყვნენ ჩავარდნილი, მაგრამ მათს ბედზე სოფ. მარანიდამ ერთმა როტამ ზარბაზნით მოუსწრო, მასთან ერთად გაჩნდა თვითონ სამეგრელოს მთავარი დადიანი თავისი მილიციით, რომელმაც დაამარცხა თავისი ძმა გიორგი და გაანთავისუფლა დატყვევებული მოხელე ვაშკლევიჩი. გიორგი აფხაზეთში გაიქცა.

გენერალი ველიამინოვი ძლიერ ნაწყენი დარჩა ზგორელსკის ასეთი დამარცხებით. ბრალს მთლად ოფიცრების გამოუცდელობას სდებდა. „დღესვე ვგზავნი იქითკენ კიდევ პატარა ჯარს, პოლკოვნიკ თავად გორჩაკოვის უფროსობით. მე არ შემიძლია დავენდო ამის შემდეგ პოდპოლკოვნიკ ზგორელსკის ცოდნასა და გამოცდილებას, სწერდა ველიამინოვი მთავარმართებელს[2]). მართლაც, რომ ზგორელსკიმ ვერ გაამარლა ის იმედები, რომელსაც მასზე უფროსები ამყარებდნენ.

თავ. გორჩაკოვის ჩამოსვლამ ჩოხატაურში მეტად გაამხნევა სამეგრელოს მთავარი დადიანი, რომელმაც უფრო გაბედულად იწყო მოქმედება. მან გაანთავისუფლა მეამბოხეთაგან ჩოხატაურისა და მარანის გზა და აგრეთვე მთელი რიონის მარცხენა ნაპირი

—

თავ. გორჩაკოვმა ვერც კი მოასწრო სამეგრელოს საქმეების გაცნობა, რომ რაჭიდან აღშფოთების ამბავი მოვიდა. რაჭის მხარე მიუვალი და მთაგორიანი ადგილებით შესაძლო იყო გამხდარიყო მეამბოხეთა სიმაგრედ და მერე მათთან ბრძოლა დიდად გაჭირდებოდა. ამისათვის ველიამინოვმა სამეგრელოდან იმ საათშივე დაიბარა თავადი ვ. გორჩაკოვი და რაჭის დამშვიდება მიანდო. რაჭაში ამ დროს იმყოფებოდა ბატონიშვილი დავით, რომელიც გადარჩა რუსეთში გაგზავნას- ის ხალხს აღელვებდა, ყველას ვისაც კი არ ჰსურდა ვახტანგის იმერეთის მეფედ აღიარება, ატუსაღებდა და სცარცვავდა.

მინამ თავ. გორჩაკოვი სამეგრელოდან მოვიდოდა, ველიამინოვმა რაჭისკენ გაგზავნა ყვირილიდან ორი როტა კარაბინერისა ზარბაზნით მაიორ გლადკოსაცკოს უფროსობით. მასვე უკან გაჰყვა ვლასოვი ერთი როტით და ერთი ასეული ყაზახებითა.

17 მაისს გლადკო-საცკო უეცრად თავს წაეწყდა ბატონიშვილ დავითის რაზმს სოფ. საზანოსთან და სრულად დაამარცხა იგი. დანარჩენი ნაწილი მეამბოხეებისა რაჭის მთებს შეეფარა. 21 მაისს, რაჭაში სოფ. კვარის ციხესთან თავი მოეყარად ორი ათასამდე მეამბოხეთ, მათ უფროსობდნენ ძმები თავ. იაშვილები. ჯარმა იერიში მიიტანა მეამბოხეებზე, დიდი ზარალი მიაყენა მათ და სრულიად გაჰფანტა ისინი. ბრძოლის ველზედ იპოვეს ორი მღვდლის გვამი, რომლებიც რაჭველებს ომის დროს ამხნევებდნენ.

ამის შემდეგ არ გაუვლია დიდ ხანს, რომ მოკლულ იქმნა ბატონიშვილი დავითიც. 1 ივნისს ღამით ჯარი ერთბაშად თავს დაესხა მის ბანაკს ქუთაისის ოლქის ტყეში. ბატონიშვილი დავითი მოჰკლეს, გვამი ქუთაისს წამოიღეს, ხოლო მისი ცოლშვილი დაატუსაღეს. მსახურნი აქეთ იქით გაიფანტნენ.

ამასობაში თავ. გორჩაკოვიც მოვიდა რაჭაში და ჯარის უფროსობა ჩაიბარა. მთელი თავისი ჯარით თავს დაესხა თ. ვ. იაშვილების მამულს და ცეცხლს მასცა მათი სახლკარი და ყოველი საცხოვრებელი, ასეთივე ბედი ეწიათ იაშვილების მომხრეებსაც.

თავ. გორჩაკოვის სასტიკმა მოქმედებამ რაჭველები საგონებელში ჩააგდო და სოფელ-სოფელზე მორჩილებას აცხადებდა.

მთელ რაჭის მცხოვრებთ გორჩაკოვმა იარაღი აჰყარა. მათი თოფიარაღით მან უბრძანა ლურსმები და სხვა საჭირო რკინის მასალა ჩამოესხათ ახალ კაზარმისათვის, რომელსაც მაშინ სოფ. ქათევში აშენებდნენ.

იარაღთან რაჭველებს ჩამოართვეს ძველებური საყვირებიც—ბუკები. ამ საყვირებით რაჭველები, როგორც თითქმის იმერეთის ყველა მხარეში, ხალხს მტრის შემოსევას აცნობებდნენ. გადგებოდნენ მაღალ მთა-გორაზედ და უკრავდნენ.

ასეთივე ბუკებით, ბრძანებს გენერალი პოტტო, ცოტა ხნის წინედ შოტლანდიელებსაც ქონდათ და იმავე დანიშნულებას ასრულებდნენ, როგორც იმერეთშიო.

სოფელ აგარაში თავ. გიორგი წულუკიძის სასახლეში, თავ. გორჩაკოვმა ხელთ იგდო ზოგიერთი ქაღალდები, რომლიდგანაც გაეცნო მეამბოხეთა მოქმედების გეგმას და იმ პირებს, რომლებიც მეამბოხეთ უფროსობდნენ. ესენი იყვნენ თავ. წულუკიძეები, რომელთა შორის ერია გიორგი წულუკიძე, პოლკოვნიკი რუსის ჯარისა. გიორგის ნაბოძები ქონდა ანას ორდენი ძვირფასი ბრი-

---

*) იხ. „სახალ. გაზ.“ № 1099.

[1]) Потто т. Щ стр. 524.

[2]) Потто т. III стр. 525.

ეროვნული

შენს ბჭემდე; მე ვდგავარ შენი სადამური ცის ოქროს ტატნის ქვეშ და ვუმზერ ანთებული შენს სახეს, მე მოველ მარადობის საზღვრამდე, საიდანაც არა დაიკარგება რა: არცა იმედი, არცა ნეტარება და არცა სახე, ცრემლებში ხილული; ჰოი, ჩასძირე, უფალო, ჩემი დაცალიერებული სიცოცხლე ამ ოკეანეში, ჩასძირე იგი თვით მის ფსკერამდე; მომეც მე ერთბაშად ძალა, რომ მსოფლიოს ყოველშემცველობაში ვიგრძნო დაკარგული სათუთი შეხება".

ერთი წამით შეჩერდით და დაჰკვირდით: ამას იქით განა კიდევ წავა სიბრძნე ლამაზს სამოსელში გახვეული?! მან დაჰკარგა სატრფო: იგი აროდეს დაბრუნდება ამ სოფლად; მოტრფიალე გრძნობს, რომ მარადობის სამთავროში არა დაიკარგება რა და იგიც მიდის უფალის ბჭესთან, რომელიც სათავე და ბოლოა ყოველის არსისა; მარადობის სამთავრო მაძიებელის წინ უსაზღვრო ოკეანედ იშლება, რომელშიაც უთუოდ მისი სატრფოც დასცურავს; და აქ იგი უფალს ევედრება—მისცეს მას საშუალება, რომ ოკეანეში ჩაძირვით იგრძნოს მან გამქრალი შეხება სატრფოსი; მსოფლიო ლიტერატურაში ეს რამოდენიმე სიტყვა საგალობლად დარჩება მარადის.

ღრმა არის აღმოსავლეთი და ტაგორიც მისი პირმშო შვილია; ბოლოს და ბოლოს ყველაზე უფრო დიდი ლირიკოსი დავით წინასწარმეტყველია და „ქებათა ქების" ავტორიც ხომ ღვთიური ხელოვანია ცეცხლეული ეროსის მიერ ნაშობი ყვავილოვანი გრძნობისა; ტაგორის მრავალი შაირიც ნამდვილი ფსალმუნია, მისი მრავალი ხატება „ქებათა ქების" ყვავილია; ტყვილად კი არ მიაჩნიათ იგი მის სამშობლოში წინასწარმეტყველად: იგი ნამდვილი ქურუმია მსხვერპლის მწირველი და უწოდა ხომ მან თავის საგალობელთ „გიტანჯალი", რაიცა ნიშნავს—**მსხვერპლ-შეწირვანი!..**

აღმოსავლეთი მე **„ფიქრ-მთრთოლი გულ-ხებით"** გამოვსახე: სხვა მხრით ვერ წარმომიდგენია მე იგი; ფრ. ნიცშემ მოგვცა შესანიშნავი სიტყვა—„დიადი შუადღე"; პანი სწორედ ამ ჟამს იბადება; და ყველა რელიგიაც აღმოსავლეთმა წარმოშობა; შოთა რუსთაველი ჩემთვის მით არის ძვირფასი, სხვათა შორის, რომ მისი ქნილება ხანდახან აღმოსავლეთის გულ-ნებასა ჰქმნის (მაგ. ავთანდილი როგორც ესთეტიური ფენომენი).

ტაგორიც მრავალ-მნიშვნელოვანია ქართველობისათვის: ჩვენც ხომ აღმოსავლეთის შვილნი ვართ და ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ „გაევროპიელებაზე" და ამ დროს აღმოსავლეთი სრულიად ავიწყდებათ; „უაღმოსავლეთოთ" კი ქართველნი მხოლოდ „ფიზიოლოგიურნი ერთეულნი" გახდებიან; აქ თავსა ჰყოფს პრობლემა რომელიმე ეროვნების კულტურის სტილისა, რომელიც მხოლოდ ოდნავ ავსახე ერთს ჩემს წერილში (იხ. „ბარათები"—არჩილ ჯორჯაძისადმი); საქართველოს წინსვლა ამ პრობლემას გვერდს ვერ აუხვევს; პირადად ჩემთვის ქართველთა კულტურის სტილი უკვე გამოკვეთილია რუსთაველის სიტყვაში: **ესთეტიური სინტეზი ელლინთა მზიური ხალისიანობისა და აღმოსავლეთის ფიქრ-მთრთოლი შუადღისა** (იხ. ზემონაჩვენები „ბარათები"); ქართველობის კულტურა მხოლოდ რუსთაველის გზით განვითარდება: თუ ამ გზას გადაუხვია, უფსკრულში გადიჩეხება უთუოდ.

ტაგორს „ევროპაც" აქვს შეთვისებული, მაგრამ მან მხოლოდ მით დაატყვევა ევროპა, რომ აღმოსავლეთის ნამდვილი შვილი დარჩა.

**გრ. რობაქიძე.**

## კერძო თათბირი ქუთაისში

### 18 იანვარს

(შთაბეჭდილება)

ქუთაისის გუბერნიის მარშალმა თ. დ. ოტ. ნიჟარაძემ 18 იანვარს მოიწვია კერძო თათბირზე ქუთაისის საზოგადოება სხვა და სხვა წრეებიდან. იღბალმა მეც მარგუნა დავსწრებოდი ამ, ჩემის აზრით, საინტერესო კრებას. კრებას დიდძალი საზოგადოება მოაწყდა, განურჩევლად მიმართულებისა და წოდებისა.

საინტერესოდ მიმაჩნდა ეს კრება იმიტომ, რომ მინდოდა გამეგო, თუ როგორ იცვალა ელფერი ჩვენმა საზოგადოებამ ამ უკანასკნელ წლებში. ეს მხარე ამ კერძო თათბირისა ერთობ სიმპტომატიურია დღეს ჩვენს ცხოვრებაში და შეუძლებლად მიმაჩნია, რომ იმას არ მიექცეს ჩვენი პრესის და შეგნებული ინტელიგენციის ყურადღება.

თ. დ. ნიჟარაძემ, გამოუცხადა რა კრებას თავისი მარშლობის დამტკიცება, მოახსენა საზოგადოებას, რომ მან გადასწყვიტა თავისი სამსახური შეუფეროს საზოგადოების და ხალხის ინტერესებს და იმუშაოს ისე, როგორც მას დაავალებს საზოგადოება.

ამისათვის იგი მიმართავს საზოგადოებას და სთხოვს დირექტივებს და ერთად მუშაობას იმ მწვავე კითხვების შემუშავებაზედ, რომელნიც უსაჭიროეს მოთხოვნილებას შეადგენენ დღეს ქართველი ხალხისთვის.

კარგი და პატიოსანი!

ორატორებმა წარმოსთქვეს ის აზრი, რომ დღეს უსაჭიროესად მიაჩნიათ მათ ერობა, ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღება და აგრეთვე საგლეხო-სამელიორაციო ბანკის დაწესება.

სუყველას თავში ერთი აზრი ტრიალებდა და მათ სახეზე ერთს და იმავეს წაიკითხავდი — ერობა, ერობა, რაც უნდ კუდ-მოკვეცილი იყოს. კრებამ დაადგინა: რადგან დღევანდელი პირობა სხვა და სხვა მიზეზებისა გამო ერთობ რთული და დიდად საგულისხმიერო არის ქართველი ერისთვის, საჭიროა სოლიდარული მოქმედება ტფილისის გუბერნიასთან და ერთად შემუშავება სხვა და სხვა საზოგადო კითხვებისა.

აირჩიეს კომისია, რომელიც უნდა გაეგზავნოს ტფილისში და ტფილისის გუბერნიის წარმომადგენლებთან და ტფილისის ქართველ ინტელიგენციასთან ერთად უნდა შეიმუშაონ სხვა და სხვა პროექტები დღევანდელ ჩვენ საჭიროებებზე—ერობა, ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი და სხვ.

ასე ამნაირად ერთად შემუშავებული პროექტები უნდა ჯერ მოხსენდეს საზოგადო კრებას და მათი გადაწყვეტილებისამებრ მიეცეს მათ ასე თუ ისე მსვლელობა.

კარგია რაც კარგად დაიწყება, თუ კარგად დაბოლოვდა.

მაგრამ ამ კითხვას აქ არ შევეხები. მე მხოლოდ მსურს დავათავო ეს ჩემი პაწია წერილი იმ შთაბეჭდილებით, როგორიც მოახდინა ჩემზე ზემოხსენებულმა კრებამ.

ჩემთვის ამ კრებაზე გამოირკვა ერთი დიდად საგულისხმიერო ჩვენი ინტელიგენციის შეგნებული ნაწილისთვის კითხვა.

აშკარად გამოიხატა კრებაზე ის მოვლენა, რომ დღეს ჩვენს საზოგადოებაში ერთობ მიმწიფებულა ის საგანი, რასაც რუსეთის ინტელიგენცია ეძახის საზოგადოებრივ ძალთა დიფერენციაციას, ე. ი. გამორკვეული დანაწილება საზოგადო ძალებისა

აშკარად დამარწმუნა ამ კრებამ და ამაში ბევრი თანაგრძნობიც მეყოლება, რომ დღეს უკვე დადგა ჩვენში ის ხანა, როდესაც საზოგადო ძალები უნდა გამოირკვეს თავის მიმართულებაში. დღეს თუ ხვალ უეჭველად დაარსდება ჩვენში იმისთანა დემოკრატიული წრე ნაციონალურ ნიადაგზე, რომელსაც მიემხრობიან მთელი დემოკრატიულ-ნაციონალური ძალები და ასე ამნაირად გამოიკრიფებიან ჩვენი საზოგადოებისგან ის უკიდურესი მემარცხენე ძალები, რომელნიც დღეს განთქვეფილი არიან ამ საზოგადოებაში.

**მ.**

## სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერბურგ. სააგენტო).

### 24 იანვრის სხდომა.

**როძიანკო** თავმჯდომარეობს.

გრძელდება მთავრობის განმარტების განხილვა მეოთხე სათათბიროს უკანონო არჩევნების თაობაზე.

**გოდნევი** ამტკიცებს, რომ ეპისკოპოსებს უფლება არა ჰქონდათ სამღვდელოება აეძულებინათ არჩევნებში მონაწილეობის მიღებით თავისთვის სასურველ კანდიდატების გასაყვანადო.

**მღ. გეშკოვსკი.** რუსეთის სახელმწიფო და მართლმადიდებელი ეკლესია საშინელ დროს განიცდის: მასონობა წმინდა ქრისტიანობას დიდ განსაცდელს უმზადებს, პრესა ჰთრგუნავს სარწმუნოებისა და ზნეობის საფუძველს. ამ საშინელ წუთში ჭეშმარიტი ქვეშევრდომის მოვალეობაა დაიცვას რუსეთი და მისი ეკლესია, სწორედ ასე მოიქცა სამღვდელოება, როდესაც აქტიურად ჩაერია სათათბიროს არჩევნებში.

**პეტროვსკი.** არჩევნებში განსაკუთრებით მუშებსა და გლეხებს ავიწროვებდნენ.

მოლაპარაკეს სოც.-დემოკრატთა ფრაქციის სახელით ფორმულა შეაქვს: მთავრობის განმარტება არავითარ გარანტიას არ იძლევა, რომ მომავალში ბოროტ-მოქმედებანი არ განმეორდებიან. ამის გამო მთავრობის განმარტება დამაკმაყოფილებლად არ ჩაითვლება.

**მილიუკოვი.** კადეტების სახელით შეაქვს შემდეგი ფორმულა: მთავრობის განმარტება სათათბიროს არ აკმაყოფილებს. მხოლოდ საყოველთაო საარჩევნო უფლება მისცემს ხალხს ჭეშმარიტ წარმომადგენლობას; მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობა უზრუნველჰყოფს არჩევნების ნამდვილ თავისუფლებას. მოლაპარაკე უმატებს: პირველი ნაწილი მემარჯვენეთა განცხადებას ეკუთვნის, რომელნიც ამტკიცებენ, რომ საზღვარ-გარედაც იგივე ხდება. ევროპისა და ჩვენი არჩევნების შორის ღრმა უფსკრულია გათხრილი: დასავლეთ ევროპაში იბრძვის სოციალური სხვა და სხვა ჯგუფი; იქ მთავრობა ერთ განსაზღვრულ სოციალურ ძალას წარმოადგენს; ჩვენში მთავრობა სოციალურ ჯგუფებ გარეშე სდგას. იგი თვის არსებობის უზრუნველყოფას ხან ერთ წოდებაში ეძებს, ხან მეორეში. სათათბირომ ამის წინააღმდეგ უნდა გაილაშქროს; უნდა შეიქმნას საერთო ურთიერთ თავდებობა, რათა არჩევნების ბოროტ-მოქმედებას გაუმკლავდეთ. მეორე ნაწილი ეხება სამღვდელოების როლს. მოლაპარაკეს მოჰყავს საბუთები კანონიერი და სახელმწიფოებრივი ხასიათისა არჩევნებში სამღვდელოების მონაწილეობის წინააღმდეგ. მესამე ნაწილი ეხება იმას, თუ რა პრაქტიკული გამოსავალი უნდა ვპოვოთ ამ მდგომარეობიდან. კადეტების აზრით, უნდა შესდგეს კომისია, რომელიც შესცვლის საარჩევნო კანონს.

**კერენსკი.** საარჩევნო კამპანია შედეგი იყო სამი ძალის შეერთებისა: სასამართლოსი, პოლიციისა და სამღვდელოებისა. ამ სამი ძალის მოქმედება სამი ივნისის კანონის დაფუშვასა ჰმოწმობს.

კამათი შესწყდა.

176 ხმის უმრავლესობით 95-ს წინააღმდეგ სათათბირომ უარჰყო შრომის ჯგუფისა და კადეტების ფორმულა. 160 ხმის უმრავლესობით 125-ს წინააღმდეგ მიიღეს პროგრესისტების ფორმულა: ცხადი ბოროტ-მოქმედების დაცვა იმასა ჰმოწმობს, რომ არჩევნების უკანონობა თვით მთავრობის მიერვე იყო მოწყობილი; ამის გამო სათათბირო მთავრობის განმარტებას დამაკმაყოფილებლად არა სცნობს.

განსახილველია შეკითხვის სისწრაფე პეტერბურგის გრადონაჩალნიკის მიერ სათათბიროს წევრ ბადაევის დაჯარიმების გამო. შეკითხვა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი მიმართული.

შეკითხვის სისწრაფეს იცავენ **პეტროვსკი** და **ბურიანოვი**. სისწრაფე უარჰყვეს.

შეკითხვა კომისიას გადასცეს.

სათათბირო იხილავს მთავრობის განმარტებას დონის ოლქში შავ ჭირთან ბრძოლის ღონისძიებათა თაობაზე.

**ხარლამოვს** ფორმულა შეაქვს: დონის ოლქში ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმე თავის დონეზე ვერ არის დაყენებული; ამის მიზეზი ის არის, რომ ოლქის მართვა-გამგეობა სამხედრო მინისტრის ხელში იმყოფება. საქმის ჯეროვანად დაყენება შეიძლება საერობო თვით-მართველობის შემოღებით.

ხარლამოვის ფორმულა მიიღეს.

სათათბირო შეუდგა მთავრობის განმარტების განხილვას რკინის გზებზე უბედურებათა გახშირების თაობაზე.

**ჰერცენვეიცი** ამტკიცებს, რომ სარკინისგზო საქმე გაცილებით გაუმჯობესებულია. საყვედური არ ეთქმის სარკინისგზო უწყებას. უკანასკნელ დროს მომხდარი უბედურებანი შემთხვევის ბრალია.

**დობროვოლსკი.** უწყებას უკანასკნელ დროს მომხდარ უბედურებაში არავითარი ბრალი არ მიუძღვის.

შემდეგი სხდომა 28 იანვრისთვის არის დანიშნული.

## სახელმწიფო საბჭო

(დეპ. პეტერბ. სააგენტო).

### 24 იანვრის სხდომა.

**გოლუბევი.** თავმჯდომარეობს.

მაგარ სასმელთა ვაჭრობის კანონპროექტის განხილვა გრძელდება. განსახილველია კომისიის მიერ შეტანილი მე-14 მუხლი; ამ მუხლით აკრძალვის განაჩენის არსებითი მხრივ განხილვა შეიძლება, თუ იმ ადგილებში, სადაც ეს განაჩენი ვრცელდება, სასამართლოს მიერ აღნიშნულია მაგარ სასმელების ვაჭრობის დებულებათა დარღვევა.

**ზინოვიევი** მესამე მეთოთხმეტე მუხლს იცავს.

**ოლსუფიევი.** კომისია მარჯვენა ხელით აძლევს და მარცხენათი აქცევს. ჯერ-ჯერობით მცხოვრებთ ერთად-ერთი ღონისძიება მიეცათ ლოთობასთან საბრძოლველად: აკრძალვის განაჩენების უკონტროლო გამოტანა, მეთოთხმეტე მუხლით ამ უფლებასართმევენ ჩუმი ვაჭრობის გავრცელების შიშით. კომისია განაჩენებს ორ ნაწილად ჰყოფს: გულწრფელ განაჩენად და ანგარებიან განაჩენად. აკრძალვის განაჩენებს მხოლოდ იქა აქვს აზრი და მნიშვნელობა, სადა ფხიზელნი ებრძვიან ლოთებს, ეს განაჩენი იარაღია ფხიზელთათვის. იქ, სადა ყველა ფხიზელი მცხოვრებელია, იქ არც განაჩენი და არა სავაჭროს დაკეტვა არ არის საჭირო, რადგანაც უამისოდაც დუქანში არავინ შევა.

მეთოთხმეტე მუხლის მიღება იქამდე მიიყვანს, რომ სამი წლის შემდეგ არც ერთ განაჩენს ძალა არ ექნება.

საბჭომ უარჰყო მეთოთხმეტე მუხლი. ამ მუხლის უარყოფით მე-15, 16, 17 მუხლიც უარყოფილ იქმნა. სათათბიროს რედაქციით მიიღეს

---

ლიანტებით შემკული. ასეთი პირების შეპყრობა ცოტა სიფრთხილეს მოითხოვდა. გორჩაკოვმა ხმა გაავრცელა, ზემო რაჭისაკენ მივდივარო, დაიბარა ყველა წულუკიძეები მოსულიყვნენ მის ბანაკში, რათა მათაც მიეღოთ მონაწილეობა ამ ლაშქრებაში. 6 ივნისს, რუსის ბანაკში გამოცხადდნენ თავ. ლევან, გიორგი, მერაბ და ზურაბ წულუკიძეები, მათთან კიდევ რამდენიმე თავ. ერისთავები და ორი ძმა აბაშიძეები. თავადები გადასცდნენ თუ არა ბანაკის საზღვარს, მათ გამოუცხადეს, რომ დატყვევებული იყვნენ.

თავადები მიხვდნენ, რომ მათი საიდუმლოება გამომჟღავნებული იყო, იცოდნენ, რომ უბრალო ტყვეობით არ გადარჩებოდნენ საქმეს, ამისათვის იძრეს ხმლები და იარაღით უნდოდათ გზა გაეკაფათ, მაგრამ ვერარას გახდნენ. ლევანი და ორი კიდევ სხვა ხიშტებზედ ააგეს, სხვები დასჭრეს. მერაბ აბაშიძე ხანჯლით მიჰვარდა თითონ გორჩაკოვს, უკანასკნელი გადაარჩინა თარჯიმანმა სომეხმა არაზოვმა. არაზოვი გორჩაკოვის ახლოს იდგა, ხმალი მოასწრო და აბაშიძე თავ-გაჩეხილი მიწაზედ დავარდა. დაჭრილი აბაშიძე თავ. გორჩაკოვმა თავის ბინაზე წაიყვანა, თითონ უვლიდა და დიდ ყურადღებას აქცევდა. ჩქარა აბაშიძე სრულად მორჩა. ისეთი მადლობელი დარჩა თავ. გორჩაკოვისა, რომ ამის შემდეგ მისი ერთგული გახდა და ყველა საიდუმლოებაც აუწყა. თარჯიმანმა, სომეხმა არაზოვმა გორჩაკოვისაგან საჩუქრად ძვირფასი ხმალი და სამუდამო პენსია მიიღო[4]).

ძვირად დაუჯდათ თავ. წულუკიძეებს მეამბოხეთა მეთაურობა. დავით და გიორგი წულუკიძეები დაიხოცნენ ტფილისის სატუსაღოში. დანარჩენები გაგზავნეს შორეულს ციმბირში. მათი სასახლეები და კოშკები სრულად გაანადგურეს, მამულები კი სახაზინოდ ჩაირიცხეს. რაჭა დამშვიდდა და ამით დათავდა ეს საშინელი დრამა.

რაჭის დამშვიდების შემდეგ გორჩაკოვი თავის ჯარით იმერეთში დაბრუნდა და პირდაპირ ხანის ხეობისაკენ გაეშურა, სადაც კიდევ იმალებოდა მეამბოხეთა მთავარი მეთაური—თავადი ივანე აბაშიძე. თათრებმა, რომლებმაც დახმარება აღუთქვეს აბაშიძეს, დროზე ჯარი არ მოაშველეს, იმერლებიც ცოტ-ცოტა შემოეცალნენ, რამდენჯერმე დამარცხების შემდეგ გაიქცა სათათრეთში.

თავ. ივანე აბაშიძის იმერეთიდან წასვლის შემდეგ, იმერეთი დაწყნარდა. ველიამინოვმა ეხლა მთელი თავისი ყურადღება გურიას მიაპყრო.

11 ივლისს, ხერსონის გრენადერის ერთი ბატალიონი ჯარით გურიისაკენ გაემგზავრა, რიონს გაღმა მას კიდევ შეუერთდა ოთხი კარაბინერთა როტა და ერთი ბატალიონი ტფილისის პოლკისა. ასე რომ გურიას წინააღმდეგ ახლა ველიამინოვს ჰყავდა 3,200 კაცი, 7 ზარბაზანი და ცოტა ყაზახ-რუსთა ჯარი. იმერეთში მშვიდობიანობის დასაცველად მან დასტოვა სამი როტა, ორი მათგანი ქუთაისში დაბინავდა და ერთი ყვირილაში.

16 ივლისს ამ ჯარით ველიამინოვი ოზურგეთს მიადგა. ამ სასტიკ გენერალის გურიაში ჩამოსვლამ, დააფიქრა ჭკვიანი გურიის მთავარი მამია გურიელი. თუმცა მას არაფერი დანაშაული არ მიუძღოდა რუსის მთავრობის წინაშე, მაგრამ მაინც მიატოვა ოზურგეთის სასახლე და ტყეს შეაფარა თავი. ველიამინოვს კარგად ესმოდა, რომ მამია გურიელმა თავისი სასახლე მისთვის კი არ მიატოვა, რომ ის მეამბოხეთ თანაუგრძნობდა, არამედ უბრალო სიფრთხილით და რუსის ჯარის დაუნდობლობით მოუვიდა ეს, ამისათვის მამია არ შეუწუხებია მას.

23 ივლისს ველიამინოვი ოზურგეთიდან მთელი თავისი ჯარით შემოქმედისკენ წამოვიდა.

შემოქმედის (ციხე ერთი შესანიშნავ ადგილთაგანია გურიაში. ციხის შიგნით აშენებულია ვეებერთელა მონასტერი. არა ერთი გასაკვირი გამოუვლია ამ მონასტერს ძველ დროში და არა ერთი სისხლის ღვრის მოწამეა ამ ციხის კედლებთან. ეს მონასტერი იყო ძველად და აქვე იყო სასაფლაო გურიის მთავრებისა.

ველიამინოვი, მიუახლოვდა თუ არა შემოქმედს, დარწმუნდა, რომ გურულებს ძლიერ გაემაგრებინათ იგი და ელოდნენ რუსის მხედრობას, მხოლოდ იმ გზით, საიდანაც წინად ზგორელსკიმ მიიტანა იერიში და საიდანაც ის დამარცხებულ იქმნა. ეს გზა ველიამინოვისათვის სახიფათო იყო, მას უნდა გაევლო წყალი, რომლის ფონიც გურულებს ეჭირათ. ამისათვის ველიამინოვმა მეორე გზით მოუარა ციხეს, ეს გზა გურულებს უყურადღებოდ ჰქონდათ მიტოვებული. რამოდენიმე საათის შემდეგ ჯარი გარს შემოერტყა ციხეს და ცოტა ხნის ბრძოლის შემდეგ ციხეში შევიდნენ, მაგრამ ციხეში ვერავინ იპოვეს, აჭარლები და ქობულეთლები, რომლებიც ციხეს იცავდნენ ადრევე წასულიყვნენ. ციხეში იპოვეს მხოლოდ ხუთი კაცი, რომლებიც ხიშტზე ააგეს. ველიამინოვს შემოქმედის ციხის აღების დროს მოუკლეს 16 და დაუჭრეს—52 კაცი.

შემოქმედის ციხე ველიამინოვმა ისე დაანგრია, რომ ქვაზე ქვა აღარ დაუტოვებია, ამით მას უნდოდა სამუდამოდ მოესპო იმ ადგილის ხსოვნა, სადაც დაიღუპა პუზირევსკი. ციხესთან ერთად ველიამინოვმა გადასწვა სახლები, ააოხრა ნათესები და ასჩეხა ვენახები.

მხოლოდ მონასტრისათვის არ უხლია ხელი ველიამინოვს. მან უბრძანა, პუზირევსკის გვამი გადმოეტანათ და თითონ მონასტერში დაესაფლავებინათ.[5]) გურულები შიშმა მოიცვა, აქეთ-იქით გაიფანტენ და ტყეს შეაფარეს თავი. ყველას ეშინოდა ველიამინოვის შეხვედრისა. რომ სრულიად მოესპო ამბოხება გურიაში, ველიამინოვი შემოქმედიდან მდ. სუფსას გაღმა გავიდა და აქედან მაიორ მიხინის უფროსობით ჯარი გაგზავნა თავ. დავით გურიელის მამულში. დავით გურიელი ერთი მეამბოხეთაგანი იყო. მაიორ მიხინს გზაზე აღარაფერი გაუშვია. მეხივით მოევლინა არე-მარეს, რაც კი გზაში იპოვა, ყველაფერი მოსპო. 11 აგვისტოს სოფ. გრიგოლეთში მივიდა. ეს სოფელი ერთი უძვირფასესი მამული იყო დავით გურიელისა. მიხინს ეგონა, თუ აქ მას გურულები წინააღმდეგობას გაუწევდნენ, მაგრამ მეამბოხეებმა ადრევე თითონ გადასწვეს სახლები და თავის მეთაურთან ერთად ფოთში გაიქცნენ, აქედან მიხინი, 21 აგვისტოს, თავ. დავით ერისთავის მამულისაკენ წავიდა. დავით ერისთავმა, როგორც ზევით იყო მოხსენებული, 19 აპრილს ჩოხატაურის პოსტი ამოსწყვიტა. აქ მიხინს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს გურულებმა, მამაც მოწინააღმდეგებს გარდა მიხინს ხელს უშლიდა მთა-გორიანი და ტყიანი ადგილები.

ბრძოლამ ხუთ დღეს გასტანა, ორ დღეში მაიორ მიხინს გურულებმა ოც კაცზე მეტი გაუწყვიტეს. მიხინმა ბოლოს მაინც სძლია გურულებს, მან დაიჭირა სოფელი და რაც კი შიგ რამ იყო ყველაფერი მოსპო. აღარ დაუტოვებია არც ციხე კოშკები, არც სახლები, ნათესები და ვენახები. თითონ დავით ერისთავი თავისი პატარა შვილით აჭარაში გაიქცა. დავით ერისთავის გაქცევის შემდეგ გურულებმა მორჩილება გამოაცხადეს. მიხინმა მათ ფიცი მიაღებინა და დავით ერისთავისა და დავით გურიელის მამულები სახაზინოდ ჩაირიცხა.

თითქმის მთელ გურიაში სიწყნარე ჩამოვარდა, ველიამინოვს კიდევაც უნდოდა ქუთაისისკენ წამოსვლა, როდესაც გაიგო, ნიგოითში თავ. მაჭუტაძე ხალხს აღელვებსო. ველიამინოვმა მიხინი ნიგოითისკენ გაგზავნა, რომელმაც დაიჭირა ნიგოითი და მთელი სახლკარი მაჭუტაძისა ცეცხლს მისცა. მაჭუტაძე ფოთს გაიქცა.

ამით გათავდა გურიის ამბოხება. 4 ენკენისთვეს გურიის მთავარმა მამია გურიელმა ინახულა ველიამინოვი და მეგობრული სალამი უძღვნა. მამია გურიელმა დიდი სამსახური გაუწია რუსის მთავრობას. თუმცა მაშინ გურიის თავად-აზნაურობა ურჩევდა მეამბოხეთა უფროსობა მიეღო და რუსების წინააღმდეგ აჯანყებულიყო, მაგრამ არამც თუ არ აასრულა მათი თხოვნა, პირიქით მომეტებული ნაწილი გურიისა მან თითონ დაამშვიდა.

—

დასასრულ მეტი არ იქნება ვსთქვათ, თუ რა ბედი ეწვიათ ზოგიერთ მეამბოხეთა მეთაურებს.

სამეგრელოს მთავრის ძმა პოდპორუჩიკი გიორგი დადიანი, დამარცხების შემდეგ თავდაპირველად გაიქცა აფხაზეთში, მერე ფოთში, იქიდამ სვანეთს გადავიდა და იქ იქმნა დატყვევებული. სამეგრელოს მთავარმა არც კი ინახულა თავისი ძმა ის გაგზავნა სოფ. მარანში გაძლიერებულ მცველებით. მთავარმმართებელმა ერმოლოვმა ყველაფერი აპატივა გიორგის და გაგზავნა ის სამსახურში შორეულ ციმბირის ჯარის კორპუსში. სამაგიეროდ მისი ჯავრი ერმოლოვმა მის დედაზე კნ. ნინოზე იყარა, რომელიც წინად სამეგრელოს მთავარი იყო. კნ. ნინო თავდაპირველად პეტერბურგში ცხოვრობდა თავის შვილთან ერთად, მაგრამ როდესაც გიორგიმ თავისუფლება მიიღო და სამეგრელოში წავიდა, კნ. ნინომაც მიატოვა პეტერბურგი, ქალაქ გეორგიევსკში ჩამოვიდა და იქ ვითომ წყლებზე თავს ირჩენდა, როგორც ავადმყოფი. ერმოლოვს ეჭვი შეეპარა კნ. ნინოზე, მისი ფიქრით დედა მოკავშირე უნდა ყოფილიყო თავისი მეამბოხე შვილისა, ამისათვის მან გრაფ კოჩუბეის მისწერა პეტერბურგში,—მას შემდეგ, რაც გიორგი გახდა მოღალატეთ, დედა მისის პეტერბურგში დატოვება ჩვენთვის სათაკილოა, ამისათვის სთხოვდა მას კნ. ნინო სხვაგან სადმე, შუა-გულ რუსეთის ქალაქში გაეგზავნათ.

კნ. ნინომ თავის მართლება იწყო, ჩემი უმცროსი შვილი გიორგი პატარაობიდანვე ურჩი იყო, სწერდა ის, მე არაფერი არ ვიცოდი, თუ რა მიზნით აიღო ჩემმა შვილმა თავისუფლება და სად გაემგზავრა და არც ის ვიცი, ან ეხლა სად იმყოფებაო. ერმოლოვმა მაინც თავისი გაიტანა, კნ. ნინო ქ. რიაზანში გაგზავნეს საცხოვრებლად გუბერნატორის მხედველობის ქვეშ.

ბოლოს მაინც გამოირკვა, რომ კნ. ნინო არაფერში დამნაშავე არ იყო და ხელმწიფე იმპერატორმა მას ნება დართო, როგორც სატახტო ქალაქებში ცხოვრებისა ისე სხვაგან, სადაც კი მოისურვებდა,

გურიის მთავარს მამია გურიელს უფრო უბედურება ეწია.

როგორც ვიცით, გურიაში ავტონომიური მართველობა იყო იმ დროს, მამია გურიის მართველად ითვლებოდა. 1820 წლის არეულობამ გურიაში იმდენი საყვედური არგუნა მამიას, რომ ზაფრა დამართა და 21 ნოემბერს 1826 გარდაიცვალა. სამი დღის შემდეგ მისმა მეუღლემ კნ. სოფიომ ყველა გურიის თავად აზნაურთ ფიცი მიაღებინა თავისა და პატარა შვილის დავითის ერთგულებაზე.

მთავარ მართებელმა ერმოლოვმა სათაკილოდ დაინახა, რომ კნ. სოფიამ. არაფერი აცნობა მას და ასე მიაღებინა ფიცი ხალხს, ამისათვის დაარსა ცალკე საკრებულო ექვსი საპატიო თავადისაგან კნ. სოფიოს თავმჯდომარეობით, ამ საკრებულოს უნდა განეგო გურიის სამთავროს საქმეები, მინამ დავითი პატარა იყო და სრულ წლოვანი არ გახდებოდა.

ბოლოს გამოირკვა, რომ არც თავ. ქაიხოსრო გურიელი იყო არაფერში დამნაშავე. 1822 წ. მას თავისუფლობა მიანიჭეს და ნება მისცეს სამშობლოში დაბრუნებისა, მაგრამ. სიკვდილამდის ქობულეთში დარჩა, ხოლო მისი შვილები კი დაბრუნდნენ სამშობლოში. ბოლოს მათ საუკეთესო ადგილები ეჭირათ რუსის სამსახურში.

**ავ. აბესაძე.**

---

[4]) Потто т. III стр. 528.

[5]) პუზირევსკი თავდაპირველად იქ იყო დასაფლავებული, სადაც ის მოკლულ იქმნა.

18 და 19 მუხლი, საბჭო შეუდგა ოცე მუხლის განხილვას მაგარ სასმელებით ვაჭრობის დროის განსაზღვრის თაობაზე.

**კრესტოვნიკოვი** იცავს თვის შესწორებას: სპირტისა და არყის ვაჭრობას დრო განისაზღვროს, მხოლოდ ღვინისა და თაფლისა კი არ განისაზღვროს.

**კრამერი** წინააღმდეგია ამ შესწორებისა.

**გურკო** შესწორების მომხრეა.

**ანდრეევსკი** ღამით მაგარ სასმელების გაყიდვა განსაკუთრებით სოფელს აყენებს დიდ ზიანს. ამის შედეგად არის—ხაძირალობა და ყოველგვარი ბოროტ-მოქმედება. მოლაპარაკე შესწორების წინააღმდეგია.

**ტაგანცევი** კრესტოვნიკოვის შესწორებას იცავს.

**პილარ-ფონ-პილხაუ** არ ეთანხმება კრამერს და მხარს უჭერს კრესტოვნიკოვის შესწორებას. კრესტოვნიკოვის შესწორება 68 ხმის უმრავლესობით 60 წინააღმდეგ მიიღეს.

საბჭო იხილავს მე-21 მუხლს, რომელიც ჰსაზღვრავს, რა დღეობით უნდა სწარმოებდეს მაგარ სასმელების ვაჭრობა ქალაქსა და ქალაქ გარედ.

**კრესტოვნიკოვს** ამ მუხლებშიაც ვივე შესწორება შეაქვს.

**კრამერი** წინააღმდეგია ამ შესწორებისა. მისი აზრით აკრძალულ დღეებში ღვინისა და ლუდის ვაჭრობა რომ სწარმოებდეს, ამით გამოიწვევს არყის ჩუმ ვაჭრობას.

**დეკანოზი ნადეჟდინი.** 21 მუხლს უნდა დაემატოს, რომ მაგარ სასმელების ვაჭრობა ბაზრობის დღეებში იყოს აკრძალული. ეს არც სათათბიროსა და არც კომისიის პროექტში არ არის აღნიშნული.

**გურკო** კრამერს უპასუხებს. არ შეიძლება ღვინისა, ლუდისა ერთის მხრივ და არყის ვაჭრობა მეორეს მხრივ ერთნაირად აიკრძალოს; მაშინ გამოვა, რომ ას ნახევარ დღის განმავლობაში რუსეთის მთელ ქალაქებში ერთი ჭიქა ღვინოც არ დაილევა.

**არქიეპისკოპოსი არსენი** წინააღმდეგია კრესტოვნიკოვის შესწორებისა.

კენჭის ყრით კრესტოვნიკოვის შესწორება უარჰყვეს და 21 მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს.

მიიღეს დეკ. ნადეჟდინის დამატება და ზინოვიევი მესამის შესწორება, რომლის თანახმად მაგარ სასმელების ვაჭრობა ახალგაზრდა ჯარის-კაცთა გაწვევის დღეებში იქნება აკრძალული.

საბჭომ მცირეოდენის სარედაქციო შესწორებით მიიღო სამი შენიშვნა 21, 22 და 23 მუხლებისა. მიიღეს მეორე დამატება ივანოვისა, რომლის თანახმად გუბერნატორებს უფლება ეძლევათ აკრძალონ მაგარ სასმელებით ვაჭრობა ჯამაგირების მიღების დღეებში. ეს იმ ადგილებში იქნება, სადაც ფაბრიკა-ქარხნის მუშები იმყოფებიან.

**თავ. გოლიცინი მურავლინს** საბჭოს 33 წევრის სახელით წინადადება შეაქვს კანონ-პროექტს მიემატოს 23 მუხლი. ამ მუხლის თანახმად მაგარ სასმელების ვაჭრობა აკრძალულია სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებაის ბუფეტებში, თეატრებში, კინემატოგრაფებში. სეირნობისა და გასართობ ადგილებში. მოლაპარაკე ამბობს, ლოთობასთან ბრძოლაში ნახევარ გზაზე შეჩერება არ შეიძლება.

გოლიცინის შესწორება ერთხმად მიიღეს.

შემდეგი სხდომა 28 იანვრისთვის იქნება დანიშნული.

## გორის ამბები

◆ ქალაქის გამგეობამ განცხადება გააკვრევინა ქუჩებში, რომლითაც აცნობებს სახლის პატრონთ, რომ უძრავ ქონებაზე დაწესებული გადასახადი უნდა შეტანილ იქმნას ქალაქის გამგეობაში არა უგვიანეს მიმდინარე წლის პირველი მარტისა. ვინც ამ ვადას გადააცდენს, ჯარიმად მანეთზე 1 კაპ. გადახდებათ თვეში.

◆ რადგან თუმანიშვილმა 18 იანვრიდან ქალაქს გასანათებლად ელექტრონის შუქი აღარ მისცა, პოლიციამ დაავალა სახლის პატრონებს უბრალო ფარნები გამოჰკიდოს თავიანთ სახლებთან ქუჩების გასანათებლად.

◆ ოც იანვარს გვეწვია სავასტროლოდ მოსკოვის თეატრ „კორშის" პრემიერი რამაზანოვი თავისი დასით, 20 და 22-ს წარმოადგინეს არციბაშევის ახალი დრამა „იჭვიანობა", ხოლო 21 იანვარს—ერთ მოქმედ. „ზელიმხანი" და „ქაჯი". ხალხი ნაკლები დაესწრო სამივე წარმოდგენას. პიესებს კარგი ანსამბლით თამაშობდნენ, უსუფლიოროდ. დასი აქედან ქუთაისისკენ გაემგზავრა.

◆ რადგან სოფელ ტყვიავთან პატარა ლიახვისხიდი საკმაოდ საჭიროებს შეკეთებას და საშიშია ზედ ეტლებით მიმოსვლა, გუბერნატორის წინაშე აღძრეს სათანადო შუამდგომლობა, რათა საერობო თანხიდან საჭირო ფული გადასდონ ამ მიზნისთვის.

## მუშათა ცხოვრება

### უცხოეთში.

### შენობათა ამგებ მუშების გაფიცვა.

შენობათა ამგებ მუშათა გაფიცვა ლონდონში დღითი დღე მწვავე ხასიათს იღებს და ვრცელდება. 19 იანვარში შეკრებილ ცნობებით, ლონდონში შენობის აშენება თითქმის სრულიად არის შეჩერებული. დიდად შესაძლებელია ეს მოძრაობა სხვა ქალაქებშიაც გადავიდეს. დაახლოვებით გაფიცულ მუშათა რაოდენობა 150.000 უდრის. ლონდონში ეხლა შენდება სახელმწიფო დაწესებულებათა მრავალი შენობა; ასე რომ, თუ გაფიცვამ დიდხანს გასტანა ზარალი დიდად საგრძნობი იქნება. ამ გაფიცვის ხასიათი ფრიად საგულისხმიეროა. მუშები გაიფიცნენ არა ჯამაგირის მომატებისათვის, ან და სამუშაო დღის შემცირების გამო, არამედ მისთვის რომ, ტრედ-უნიონთა წევრები არა ნდომულობენ იმ მუშებთან ერთად მუშაობას, რომელნიც მუშათა ორგანიზაციებში არ შედიან.

საქმის მწარმოებლებმა წინადადება მისცეს მუშებს შეჰკრან ახალი ხელშეკრულება, სადაც აღნიშნული იქნება, რომ პატრონების მიერ ორგანიზაციების გარეშე მყოფ მუშათა მიღება არ ჩაითვლება გაფიცვის საბაბად. მუშებმა ამაზე უარი უთხრეს. საქმის მწარმოებლებმა 20.000 მუშას ლოკაუტი გამოუცხადეს. ამის გამო შენობათა ამგებ მუშების კავშირმა საერთო გაფიცვა გამოაცხადა.

### რუსეთში.

**ანკეტა მუშათა დღის საკითხზე.**

სათათბიროს მეუმრავლესე სოციალ-დემოკრატთა განიზრახეს სათათბიროში შეიტანონ კანონ-პროექტი რვა საათის სამუშაოს დღის თაობაზე. ამის გამო ფრაქცია ანკეტას ახდენს ამ საკითხზე მუშათა ორგანიზაციებს შორის. ფრაქცია თხოვნით მიჰმართავს საპროფესიო კავშირებს, საკულტურო განმანათლებელ საზოგადოებებს, კოოპერატივებს და სხვათ უპასუხონ საანკეტო ფურცლებზე ჩამოთვლილ საკითხებს. ფურცლები მეუმრავლესთა ფრაქციას უნდა დაუბრუნდეს.

**მუსიკის მოყვარული მრეწველი.**

პეტერბურგში სემიონოვს რამდენიმე დიდი მაღაზია აქვს და 150 მუშა—ნოქარი ჰყავს. სემიონოვი დიდი მოყვარული ყოფილა მუსიკისა და ახალი განკარგულება გასცა, ნოქრებმა თავისიანებში შეადგინონ ორკესტრი, რათა სემიონოვსა და მის სტუმრებს კვირა-უქმე დღეობით დაუტკბონ სმენა. „მემუსიკე" ნოქრები შუამდგომლობენ საპროფესიო საზოგადოების წინაშე გავლენა იქონიოს როგორმე სემიონოვზე და იხსნან იგინი მათთვის შეუფერებელ და ზედმეტ მოვალეობისაგან.

## თეატრი და ხელოვნება

**„სინათლე" სახაზინო თეატრში.**

პარასკევს ქართულმა დასმა მეშვიდეჯერ წარმოადგინა „სინათლე" სახაზინო თეატრში. თეატრი მთლად გაჭედილი იყო ხალხით. წარმოდგენას სიახლე არაფერში ეტყობოდა, მხოლოდ მუსიკა იყო უფრო შერჩეული და ორკესტრს ხელმძღვანელობდა ზ. ფალიაშვილი. წინანდელებზე უკეთესი იყო მეორე სურათი და აპოთეოზი, რომელთაც ამშვენებდა კარგი მუსიკა. სუსტი გამოვიდა ეშმაკების ბალეტი. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ბალეტი მეტად უფერული და უშნოა მთელს პიესაში; საჭიროა მისი სტილიზაცია ქართულის ცეკვის ხასიათის მიხედვით და მაშინ ექნება მას ინტერესი. ქართულ თეატრში არ სჩანდა ისე მოწყობილობის სიღარიბე, როგორც გამოაშკარავდა დიდს სახაზინო თეატრში. დრამატიულმა საზოგადოებამ უნდა ძირიანად შეიმუშაოს მომავალი წლისთვის ახალი გეგმა, გასწიოს მეტი ხარჯი და მოაწყოს პიესა მხატვრულად, და არა ხელოსნურად, როგორც დღეს არის.

რადგან მრავალი მსურველი უბილეთოდ დარჩა უადგილობისა გამო, საზოგადოების თხოვნით „სინათლე" განმეორებული იქნება იმავე სახაზინო თეატრში მომავალს ოთხშაბათს.

**ს. სტეფანწმინდა.** (ყაზბეგი). ა. ყაზბეგის ოცი წლის გარდაცვალების აღსანიშნავად ყაზბეგის საზოგადოებამ ექვს იანვარს 1914 წ. სალამო გამართა. ფარდის ახდისათანავე ფეხზედ ადგომით პატივი სცეს ა. ყაზბეგის ხსოვნას, მომღერალთა გუნდმა შეასრულა „შენ შემოქმედო". ა. ყაზბეგის ბიოგრაფია წაიკითხა ა. დავითაშვილმა, სიტყვა სთქვა ბიოგრაფიის მასწ. ზ. ალნიაშვილმა მკაფიოდ და გასაგებად. სიტყვა სთქვა ა. კობაიძემ. შემდეგ დასდგეს უკანასკნელი ოთხი მოქმედება „კონსტანტინე ბატონიშვილი"-სა ვოდ. „ტიმოთეს ლედვი" კავკავის სცენის მოყვარეებმა. „ხანუმა" ვოდ. „ოინბაზი" სტეფანწმინდის სცენის მოყვარეებმა. „კონსტ. ბატონიშვილმა" სუსტად ჩაიარა. ქეთევანის როლს ასრულებდა ო. მ. ჩოფიკაშვილისა. ხანუმამ საუცხოვოდ ჩაიარა. ვოდევილებსაც არა უჭირდათ-და. დამსწრე საზოგადოება ნასიამოვნები დარჩა ამ სალამოს. ლექსებში ყურადღება მიიქცია პ. ფიცხელაურმა და პ. ღუდუშაურმა. ბოლოს დროს გაიმართა ცეკვა და დასრულდა ოთხის ნახევარზედ.

კარგი იქნება სტეფანწმინდის საზოგადოებამ მახლობელ სოფლების დახმარებით განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სცენის მოუწყობლობას და ერთი ფიცრული ოთახი მაინც მოადგან დარბაზს, რათა ამით ხელი შეუწყონ წარმოდგენის გამართვას. **გვირაბელი.**

**დ. შიათურა.** ჩვენს თეატრს მკვიდრი ნიადაგი მოუპოვა ადგილობრივმა სცენის მოყვარეების განუწყვეტელმა, ენერგიულმა შრომამ, და ხალხის გულში მისდამი სიყვარული აღძრა; გვყავდნენ ისეთი სცენის მოყვარეები, რომელნიც 5—10 წ. განუწყვეტლივ მუშაობდნენ ჩვენ თეატრში და თავიანთი მოხდენილი თამაშით ხალხს იზიდავდნენ, მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ წელს, თითქო წინდაწინ განგებ მოულაპარაკნიათო, ყველამ ზურგი აქცია თეატრსა და მთელი სეზონი ოთხი მსახიობის ანაბარა დასტოვეს. როგორი პიესები მოამზადოს ოთხმა მსახიობმა და გვიჩვენოს ყოველ კვირა, თუ ხელის შემწყობი არ ეყოლებათ.

19 იანვარს დასდგეს „ცხოვრების გარეშე" დრ. 4 მოქ. თარგ. შველიძისა. ეს პიესა გვისურათებს წვრილი მოსამსახურეების აუტანელ მდგომარეობას და მისი მთლიანათ მოსმენა ყველასათვის სასურველია, მაგრამ ჩვენს მსახიობებს ხელის შემწყობნი არა ჰყავს და ამ სალამოსაც პიესის მთლიანობას ბევრი რამ აკლდა. ახალგაზრდა სცენის მოყვარეები ი. გურული (ნატალია) და პ. ლოლაძე (პეტრე) სუსტობდნენ.

კარგები იყვნენ ქ. ა. ლოლუა—მიქაშავიძისა (პოლია) და ქილარჯიშვილი (დუნიაშა).

განსაკუთრებულ ყურადღებას ამ სალამოს ბ. ა. მურუსიძე იქცევდა, რომელმაც მთლიანად გადმოგვცა იაკობის როლი.

ხან და ხან სუფლიორი ხმა მაღლა კითხულობს და მის ნათქვამ სიტყვებს დარბაზში იმეორებენ.

კვირას, 26 იანვარს დანიშნულია ქ. ა. ლოლუა—მიქაშავიძის ბენეფისი. მესამე სეზონია ის ჩვენ სცენაზე მუშაობს და ყოვლითვის კეთილსინიდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას. ვიმედოვნებთ, ჩვენი საზოგადოება დააფასებს მის შრომას და მის საბენეფისოდ გამართულ წარმოდგენას დაესწრება. —**ძე.**

## მადლობის გამოცხადება

(წ. რ მ.)

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ ქვემომოყვანილი წერილი.

ღარიბ მოწაფეთა შემწე თავად-აზნაურთა საზოგადოების სასარგებლოდ 6 იანვარს გამართულს ტრადიციულს ბალს 21 იანვრამდის წმინდა შემოსავალი ჰქონდა 3000 მანეთამდის.

დაწვრილებითი ანგარიში თავის დროზედ გამოცხადდება. ახლა კი გამგე კომიტეტი მოვალედ სთვლის თავს საზოგადოების და მის სასწავლებლების მოწაფეთა სახელით გულითადი მადლობა უძღვნას ყველა ქველმოქმედთ, რომელთაც მოზარდი თაობისათვის თავისი წვლილი არ დაიშურეს.

ქველმოქმედთა სიას ამშვენებენ, როგორც ჩვენი ქვეყნის წარჩინებული პირების სახელები, აგრეთვე სახელები მრავალი ჩუმი მოღვაწეებისა.

ბალის მშვენივრად ჩავლა სამართლიანად უნდა მიეწეროს ბალის გამგე მადლიოსანთა შრომას, თავად-აზნაურობის, ქართული დრამატიული საზოგადოების და ახალი კლუბის უხვს შემოწირულებათ და ამავე დაწესებულებათა წარმომადგენლების დაუღალავს მუშაობას, რომელთაც პირადი მონაწილეობით მოახერხეს დღესასწაული ლამაზად და კოხტად მოეწყოთ.

გამგე კომიტეტი უღრმეს მადლობას უძღვნის როგორც შემომწირველთ, ისე ყველას, ვინც თავისი შრომით დახმარება გაუწია ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოებას.

**თავმჯდომარე გ. ყაზბეგი.**

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**25 იანვარი.**

### უცხოეთი.

**სტოკჰოლმი.** შვეციის სატახტო ქალაქში 31300 შვედელმა გლეხმა თავი მოიყარა და მეფის სასახლის წინ დიდი მანიფესტაცია მოახდინა. ამ მანიფესტაციით მათ მეფეს თანხმობა განუცხადეს, სახელმწიფოს თავდაცვისათვის მომატებულ ხარჯებს ვიკისრებთო. მეფემ მადლობა გადაუხადა მათ. ქალაქში სრული წესიერებაა. სოციალისტები და რადიკალები მიტინგის გამართვას აპირებენ, შეიარაღების გაძლიერების საწინააღმდეგოდ.

**სტოკჰოლმი.** მინისტრ-პრეზიდენტმა სტაფმა გლეხების დელეგაციას განუცხადა: ქვეყნის თავდაცვის საქმე მხოლოდ სამხედროს კი არა სამოქალაქო უწყებასაც ეკითხებაო. ამასთანავე გლეხებს ურჩია, დიდის სიფრთხილით მოეპყარით გავრცელებულ ხმებს, ვითომც შვეციაში ჯაშუშობა ძალიან გავრცელებული იყოსო. ზომიერი გაზეთები აღნიშნავენ ხალხის მოზღვავებულ ძალთა სიმტკიცეს. რადიკალების გაზეთის აზრით, ლიბერალური მთავრობა დღეს ფეხს ვერ მოიკიდებს. სალამოთი დიდძალი ხალხის თანადასწრებით კრება მოხდა. ბევრი პატრიოტული სიტყვა წარმოსთქვა. სხვათა შორის, სვენ-გედინმაც ილაპარაკა.

**მარმაროშ-სიგეტი.** ბობრინსკი აქედან წავიდა.

**ბუქარესტი.** საბერძნეთის დიადოხის პატივსაცემლად გამართულ საზეიმო სადილზე რუმინიის მეფემ სთქვა: თქვენი სტუმრობა დამადასტურებელია ჩვენ შორის მეგობრულ განწყობილების განმტკიცებისა, რაც განსაკუთრებით ჩემთვის მეტად ძვირფასია, რადგანაც მომასწავებელია ბალკანეთზე ძალთა გათანასწორების ახალი ხანისა. დიადოხმა მადლობა გადაუხადა მეფეს დახვედრისათვის, მამის გულითადი გრძნობანი გადასცა და სიტყვა ასე დააბოლოვა: ბუქარესტის ხელშეკრულება ორივე სახელმწიფოს სარგებლობას უქადის და ხელს შეუწყობს მათს ურთიერთობის განმტკიცებასო.

**ათინა.** ათინის სააგენტო იუწყება: ალბანელთა რაზმები სალის-მუტკოს ბელადობით კოლონიას ოლქს შეესივნენ, ხუთი სოფელი აიღეს და ალბანეთის დროშა აღმართეს. ბერძენთა ქვეითა ჯარმა იგინი სოფლებიდან განდევნა. ბერძნებს ხუთი მეომარი და ორი მოხალისე მოუკლეს, 12 მეომარი და 3 მოხალისე დაუჭრეს! ალბანელებს მოუკლეს 64 და ბევრი დაუჭრეს. ექვსასმა ალბანელმა მაიორ მუსტაფას მეთაურობით დაიჭირა სადგური ვილიტერნა (კორიცის მახლობლად) და მოითხოვეს კორიცა თავისი მიდამოებით დაჭნებდეს. ბერძნების ჯარმა ღამე სიმაღლეები დაიჭირა და მცირე ხნის სროლით გაჰფანტა ალბანელები, რომელთაც კესიმ-ბეი მეთაურობდა. რამდენიმე სოფლის მკვიდრთ ბერძნებს ქვეშევრდომობა განუცხადეს და საბერძნეთის დროშა აღმართეს. ბერძნებს ზარალი არ მოჰსვლიათ.

**ვერსალი.** მფრინავი რილსი, ვილლა-კუბლეს მახლობლად, ჩამოვარდა და სასიკვდილოდ დაშავდა.

**სოფია.** ბულგარეთის სააგენტო იუწყება: ყოველივე ხმები, ვითომც ბულგარეთს სხვა სახელმწიფოებთან კავშირი დაედოს უსაფუძვლოა, მთავრობა და ბულგარეთის საზოგადოებრივი აზრი ყოველ საშუალებას იღონებს, ბულგარეთის ეკონომიურ და კულტურულ აყვავებისათვის. ბულგარეთის წარმომადგენელნი ამასთანავე სახელმწიფოებს აცნობებენ: რადგანაც საბერძნეთმა დაპირება არ აღასრულა და სატუსაღოებიდან დატყვევებული ბულგარები არ გაანთავისუფლა, საბერძნეთთან დიპლომატიური დამოკიდებულება ვერ განახლდებაო.

**ვაშინგტონი.** შეერთებულ შტატების მთავრობამ ითხოვა, რომ მომავალ წელს საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენცია ჰააგაში მოიწვიონ. როგორც ამბობენ, შტატების მთავრობამ ეს სურვილი დედოფალ მილჰელმინას თხოვნით გამოსთქვა.

**ბუდაპეშტი.** პრესა კვლავ ჰსჯელობს ბობრინსკის უნგრეთში მოსვლაზე; ანდრაშის გაზეთი „მაჯიარ-ხირლაპის" სწერს: უნგრეთი პატივისცემას დაჰკარგავდა უცხოეთის თვალში ავსტრიის მოთხოვნილებით ბობრინსკი რომ დაეპატიმრებინა. „პესტერ-ლოიდი" სწერს: ბობრინსკი უკმაყოფილოდ დარჩებოდა, რომ იგი არ დააპატიმრესო. „ვილაგი" სწერს: ბობრინსკი მარმაროშ-სიგეტში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებაო.

**მარმაროშ-სიგეტი.** ჩვენებას ართმევენ არნოლდ დულიჩკოვიჩს; ამ მოწმის ჩვენებით, ბობრინსკის ვითომც მისთვის უთქვამს: რუსეთი ჯარის დემობილიზაცია მანამდე არ მოჰხდება, ვიდრე კარპატზე რუსეთის ბაირაღი არ იფრიალებს. ბობრინსკი დულიჩკოვიცის ჩვენებას უარჰყოფს.

### რუსეთი.

**კოსტრომა.** საგუბერნიო ერობამ გალიციის დამშეულ რუსთა სასარგებლოდ გადასდო 1.000 მანეთი.

**მინსკი.** დააპატიმრეს ოსმალეთის ორი ქვეშევრდომი და ორი ქალი. მესამე ოსმალო დვინსკშია დაპატიმრებული.

**მინსკი.** საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა მარტში მოიწვიოს გუბერნიის ერობისა და ექიმთა წარმომადგენელნი საერობო მედიცინის საკითხის თაობაზე.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ შეუწყნარებლად სცნო სათათბიროს წევრთა საკანონმდებლო მოსაზრებანი: 1. ჩრდილო კავკასიის მუსულმანთა სასულიერო სამმართველოს დაარსებაზე, 2. თერგისა და ყუბანისა ოლქში მთიულთა სიტყვიერ სასამართლოს გაუქმებაზე, 3. ტომსკის უნივერსიტეტში საისტორიო-საფილოლოგო და ფიზიკა-სამათემატიკო ფაკულტეტის დაარსებაზე; 4. სისხლის სასამართლოს წინაშე პასუხისგებაში მიცემაში სახაზინო და საზოგადო დაწესებულებებში ბოროტმოქმედების ჩადენის გამო.

## ხიზნების დასახლება

**1) საამირაჯიბო მამული.**

„სახალხო გაზეთის" 1059 ნომერში მოხსენებული საამირაჯიბო მამულის გარდა თ-დ. ამირაჯიბებს კიდევ უკავიათ თილვა-ალიბარი-შინდარა, რომელიც შეიცავს 822 დეს. და სოფელი ავლევიც ზომით—958 დეს.

თილვა - ალიბარ - შინდარაში სულ მცხოვრებნი ითვლება 101 კომლი, მათ შორის დროებით ვალდებული გლეხია—48 კომლი, მესაკუთრე გლეხებიც იქნებიან—12 კომლი, დანარჩენი 41 კომლი ხიზნები არიან, დიდი ხნის დასახლებულნი და გაქართველებული ოსები მოსახლეობენ. დღიურზედ იხდიან 2 კოდსა და 2 ჩანახს ქერნახულსა.

ამ მამულს შემდეგ-ნაირად ფლობელობენ: 1) დროებით ვალდებულ გლეხებს უჭირავთ ნადელი გეგმით 60 დეს. 490 ვ. ს. 2) მესაკუთრე გლეხებს ეკუთვნის 159 დეს. 600 კ. ს. 3) ხიზნებს უკავიათ 388 დეს. დანარჩენი 100 დეს. ნადელ გარეთ არის და დროებით ვალდებული გლეხები სარგებლობენ იჯარით და 15 დეს. საეკლესიოა და გზებს უჭირავს.

მთელი ეს მამული თანდათან ადგილობრივ მცხოვრებლებზედ გადადის საკუთრებად შესყიდვით.

სოფ. ავლევში წყალგალმა ათი წლიწადი იქნება, რაც დაასახლეს 16 კომლი მოიჯარადრე და ამ ორ წლიწადში კიდევ დაასახლეს 6 კომლი ოსი მოიჯარადრენი, მაგრამ ბოლოს კი ამათ ხელში გადავა ეს მამული შესყიდვით.

ავლევის მცხოვრებნი დროებით ვალდებულნი გლეხნი და უმამულონი შევიწროვებულნი არიან მამულის სივიწროვის გამო.

2) **მამული მაღდა-კუდართ-ხოდაბუნი** 750 დესეტინას შეიცავს, ეკუთვნის ზაალ ამირეჯიბის მემკვიდრეებს, მოსახლეობენ ხიზნები—ოსები 75 კომლი იქნება, დიდიხნის დროის დასახლებულნი არიან.

ამათი ვალდებულობა არის ერთი მეექვსედი შემოსავლისა, ერთი ურემი შეშა, ყოველ-წლივ ძღვენები შობისა და აღდგომისა.

3) **ტატიაანთ მამული** შეიცავს 2000 დესეტინამდის. მდებარეობს შემდეგ სამზღვრებში: აღმოსავლეთით—თ-დ. ფავლენიშვილების მამული საზღვრავს, დასავლეთ და ჩრდილოეთით თ-დ. ფალავანდიშვილებისა და ამირეჯიბებისა, სამხრეთით კი სოფ. ქვათეთრის და დირბის მამულები არტყია.

ამ სამზღვრებში მდებარეობენ შემდეგი სოფლები: ძვილეთი, ველები, ყორულდი, ზემო-ქვათეთრი, წნელისი, გვირგვინა, ბაყაანთ-უბანი და ბადათ უბანი.

ძვილეთში ცხოვრობენ მემამულენი ტატიშვილები და უმამულო გლეხები 25 კომლი ქართველი. ძვილეთს უჭირავს 450 დესეტინამდის.

დანარჩენ სოფლებში მოსახლეობენ 100 კომლი ახლად დასახლებული ოსი ხიზნები და მოიჯარადრენი, უჭირავთ 1500 დესეტინამდის, ერთი მესამედი წვრიმალა ტყე იქნება, დანარჩენი საუკეთესო სახნავ მამულად ითვლება და დიდ მოსავალს იძლევა.

ძვილეთის გლეხებს კი ერთი ფეხის დადგმა არა აქვთ. რატომ? ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ ისევ იმ მამულზედ არიან მიკრულნი და დროს შესაფერ ღალას იხდიან. ამავე დროს მის ახლო სხვები ესახლებიან, ესენი ყურადღებას არ აქცევენ და ისევ განაგრძობენ ძველებურად ცხოვრებას.

ახალ მოსულები უმამულებს ეპატრონებიან, დროებით ვალდებულნი გლეხნი კი არიან მიკრულნი იმ ნადელზედ და ნადელ გარეთ მიწებსაც კი ვეღარ ეპატრონებიან.

ერთის მხრივ ნადელის მიცემამ დიდად დააზარალა გლეხობა, დასარწმუნებლად აიღეთ რომელიმე სოფელი ხიზნისა ან მოიჯარადრეების, ესენი უფრო შეძლებულნი არიან, ვიდრე დროებით ვალდებული გლეხნი.

4) **ტყის-უბნის მამული** შეიცავს 166 დესეტინას, ეკუთვნის ნამგლაძეებს და დეკანოზიშვილებს, ამათ მამულში დასახლებულნი არიან გობოზაშვილები 10 კომლი ხიზანი და უჭირავთ 99 დეს. დროებით ვალდებული გლეხია 4 კომლი და ნადელი ეჭირებათ 10 დეს. 1310 კ. ს. ორი კომლიც ქართველი ისტორიული ხიზანია და ეხლა მოიჯარადრენი

არიან, მათ ნაყიდი აქვთ 1 ნახ. დეს. 6 ნახ. დეს. საეკლესიო და საწყალიპირო არის. დანარჩენი 48 დეს. ფლობელობენ 4 კომლი ნამგლაძეები და დეკანოზიშვილები.

5) **შალიბაანთ მამული,** მდებარეობს სოფ. ბალთას, გიორგი-წმინდას და მეტეხს შუა, შეიცავს 550 დეს. ამაში წვრიმალა ტყე—300 დეს. 12 კომლი ხიზანი ოსი მოსახლეობს სოფ. წრუში და უჭირავს 45 დეს. სახნავი მამული. 8 კომლს მოიჯარადრეს ოსს უჭირავს 80 დეს.

დანარჩენი 125 დეს. შალიბაანი ფლობელობენ.

გადასახადი აღევთ სოფ. წრუელებს 1 ნახ. კოდი ქინახული დღიურზედ, 10 მუშა, 3 მანეთი და ძღვენი, სოფ. ბალთელებს 9 მან. და 1/6 მოსავლისა.

6) **სოფ. ქალეთი დიდებულიძეებისა** არის, შეიცავს 200 დეს. ამაში 1/8 ტყეა, დანარჩენს ხიზნები ფლობობენ და მოიჯარადრენი, 12 კომლი ქართველია და 10 კომლი ოსი.

7) **სოფ. კოდა-წყველიხი,** თ-დ ამირეჯიბებისა არის, შეიცავს 559 დეს., ოსახლეობენ ხიზნები, ქართველები 13 კომლია, ოსები კი—19, ერთი-მესამედი ტყე იქნება.

8) **სოფ. აბისი,** შეიცავს 665 დეს. დროებით ვალდებული გლეხია 26 კომლი, ხიზანია 17 კომლი და მოიჯარადრეა 15 კომლი (აბისის თავში), ყველანი ქართველები არიან.

9) **თ-დ ბაგრატიონების მამული,** 1) ტკოცა-ვარძეულ-ასამყვირველო—52 კომლი ქართველი ისტორიული ხიზნები იყვნენ, დღეს მემამულეების წყალობით მოიჯარადრეებად იქცნენ. შეძლებული გლეხები არიან. 2) დიდი-ფცა—700 დეს., პატარა-ფცა—256 დეს. დროებით ვალდებული გლეხები ცხოვრობენ 100 კომლზე მეტი იქნება, 93 კომლს ყველას შესყიდული აქვთ ნადელი. დანარჩენ სოფლებში საწყალში, ხულში, არკნეთში, თორთახეულში და ხოსიას საყდარში მოსახლეობენ მოიჯარადრენი ოსები, ხულში კი დროებით ვალდებული გლეხები ცხოვრობენ.

10) **სოფ. ზღუდერი,** 620 დეს. სახნავი ადგილია. 60 კომლი, ისტორიული ხიზნები-ქართველები იყვნენ, დღეს მოიჯარადრედ არიან.

11) **პატარა კოდა, პატარა ფლევი,** აქაც ისტორიული ხიზნები-ქართველები იყვნენ, დღეს მოიჯარადრედ ითვლებიან.

12) **სოფ. გომი,** 24 კომლი ხიზანი ოსია, 80 დეს. უჭირავს.

13) **ხაშურის და სურამის რაიონებში** მოსახლეობენ ქართველი ხიზნები მოიჯარადრეები და დროებით ვალდებული გლეხნი.

14) **თავად ციციშვილის მამული,** დღეს ნ. ა. მდივანს ეკუთვნის, შეიცავს—9,000 დეს. მოსახლეობენ მოიჯარადრეები ქართველი-ხიზნები, ოთხი წილი ქართველი იქნება, დანარჩენი—ოსი. ტყეს უჭირავს 3,000 დეს. სოფ. ხცისი—800 დეს., დანარჩენი 5,200 დეს. ხიზნებს უჭირავთ.

15) **საციციანო.** თ-დ ციციშვილებმა არ მოისურვეს ცნობების მოწოდება.

16) **საამილახვრო** ხიზნები მოსახლეობენ მდ. ლეხურის სათავეებში და ცხოვრობენ შემდეგ სოფლებში:

| | | |
|---|---|---|
| 1) ურთხლინში | 12 კომ. | 300 დეს. |
| 2) ზახორში | 80 კომ. | 800 დ. |
| 3) ძოხატურში | 30 კ. | 700 დ. |
| 4) ცხინვლისი | 60 კ. | |
| 5) ხუბეხი | 40 კ. | |
| 6) ტიტითი | 19 კ. | 400 დ. |
| 7) ჩახჩარო | | |
| 8) ბოჟამი | 10 კ. | |
| 9) წიფლის წყარო | 20 კ. | |

სუყველანი ოსები არიან და 271 კომლს ეჭირვება 2200 დეს. ტყე, საძოვარი და სახნავი. დიდი ხნის დასახლებულნი არიან.

17) **საჯავახიშვილო ხიზნები** ბორბნევის საზოგადოებაში მოსახლეობენ. მოიჯარადრენიც ცხოვრობენ, სულ ეჭირვებათ 30,000 დეს. ამაში ტყე იქნება 5000 დესეტ., დანარჩენ 25,000 დესეტინაში 3/4 საძოვარი და სათიბია, 1/4 კი სახნავად ჩავარდება.

ხიზნები ცხოვრობენ დიდი ხნის დროიდან შემდეგ სოფლებში:

| | | დესეტინა: |
|---|---|---|
| 1) ახალ-სოფელში | 20 კომ. ოსი | 1500 |
| 2) გულხანდისში | 5 კომ. ოსი | |
| 3) ნადარბაზევში | 14 კომ. ქარ. | |
| 4) ლულში | 14 კომ. ოსი | 3600 |
| 5) მღებრიანში | 15 კომ. ოსი | 980 |
| 6) ოკიანში | 11 კომ. ოსი | 400 |
| 7) ტამში | 12 კომ. ოსი | 1200 |
| 8) დიდი ჩვარები | 18 კომ. ოსი | 1300 |
| 9) ქანქახაში | 4 კომ. | |
| 10) პატარა ჩვარები | 11 კომ. | |

სულ ხიზანი არის 124 კომ. 5980 დ.

მოიჯარადრენიც შემდეგ სოფლებში ბინადრობენ, ისტორიული ხიზნები იყვნენ და მემამულეების მეცადინეობით მოიჯარადრეებად გადაიქციეს:

| | | |
|---|---|---|
| 1) ზირტაში | 10 | კომ. ქართ. |
| 2) იურაში | 16 | კომ. ქართ. |
| 3) ქანობილში | 9 | კომ. ქართ. |
| 4) მთადეკეულში | 7 | კომ. ქართ. |
| 5) პილატში | 4 | კომ. ქართ. |
| 6) საბოლეში | 18 | კომ. ქართ. |
| 7) სალომეში | 10 | კომ. ქართ. |
| 8) ტრემლიანში | 10 | კომ. ქართ. |
| 9) თეკნელაში | 5 | კომ. ქართ. |
| 10) ბორცოვანში | 9 | კომ. ქართ. |
| 11) დიდ-თავში | 6 | კომ. ქართ. |
| სულ | 104 | კომ. ქართ. |
| 12) ნათლისმცემელში | 22 | კომ. ოსი |
| 13) პითნარაში | 5 | კომ. ოსი |
| 14) პიცესში | 25 | კომ. ოსი |
| 15) საჯიანში | 2 | კომ. ოსი |
| 16) ურიულში | 3 | კომ. ოსი |
| 17) ხვცეში | 13 | კომ. ოსი |
| სულ | 70 | კომლი. |

დანარჩენი მამულით ეს ზემოხსენებული მოიჯარადრენი სარგებლობენ.

დამავიწყდა მეთქვა, რომ სოფელ მღებრიანელებს იმ 980 დესეტინის გარდა კიდევ უჭირავთ ადგილი „სახორცე“, ზომით—2000 დესეტ.

ჯამი მთელი ქართლის ხიზნებისა შეადგენს:

| | კომლი: | დესეტ.: |
|---|---|---|
| 1) საფალავანდოში | 866 | 9720 |
| 2) საბარათაშვილოში | 175 | 5500 |
| 3) სახერხეულიძეში | 49 | 230 |
| 4) საამირეჯიბოში | 41 | 388 |
| 5) მაღდა-კუდაროში | 75 | 750 |
| 6) ტატიშვილებისა | 100 | 1350 |
| 7) ტყის უბანში | 10 | 99 |
| 8) საშალიბაშვილოში | 12 | 45 |
| 9) დიდებულიძეებისა | 22 | 140 |
| 10) კოდა-წყველისი | 32 | 559 |
| 11) გომში | 24 | 80 |
| 12) ნ. ა. მდივნისა | 600 | 5200 |
| 13) საჯავახიშვილოში | 124 | 7980 |
| 14) საამილახვროში | 271 | 2200 |
| სულ | 2401 | 34241 |

თუ მივიღებთ ვარაუდით თ-დ ციციშვილების სახაზინო მამულს—4000 დეს. და თ-დ ფავლენიშვილებისაც—600 დეს., ე ზედ-მეტიც რომ მივიღოთ 200 დეს. ვისიც გამოგვრჩა—სულ ხიზნებს ეჭირვებათ 40,000 დესეტინამდის.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ხიზნებში ქართველებიც ურევიან.

**Legatus.**

## წიგნების გამომცემლების საყურადღებოდ

წიგნების გაიოლებისა და გავრცელების შესახებ წარსულს შემოდგომაზე ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში რამდენიმე წერილი იყო დაბეჭდილი და მოგვითხრობდნენ, რომ რიგიანი შინაარსის წიგნები ხალხში არა ვრცელდებიან და თვით მიზეზს კი, რაც ხელს უშლის შინაარსიანს წიგნებს ხალხში გავრცელებას, რაც აბრკოლებს სოფლად წიგნების გაშლას, არავინ არ ასახელებდა. მე მაინც არსად არ ამომიკითხავს და მწადიან მკითხველს უმთავრესი მიზეზი აშკარად დავანახვო.

თუმცა ჩვენს ხალხს იმოდენად გაუნათლებლად სთვლიან, რომ მან არც კი იცისო, თუ მისთვის წიგნი დიდი სასარგებლოაო; არც კი იცისო, თუ შიგ შეუძლიან ისეთი რამ ამოიკითხოს, რაც მისთვის ცის მანანად ჩაითვლება, რაც იმის ჭირ-ვარამს, იმის მდგომარეობის გაუმჯობესობას შეეხებაო; ზოგს მათგანსა ისიც კი ჰგონიაო—წიგნის კითხვა მოცლილი კაცის საქმეაო, სათავადაზნაურო არისო. მაგრამ ყველა ეს წარსული აზრია, და სოფლად ეხლა ყველას კარგად ესმის წიგნის მნიშვნელობა და, თუ თვითონ არ იცის კითხვა, სხვას დიდის ყურადღებით დაუგდებს ხოლმე ყურსა. ეხლა სოფლად ერთმა და ორმა არ იცის კითხვა და მოიპოვება მათ შორის ისეთიც, რომელიც ხალხსაც უკითხავს. დიმიტრი თავდადებული, კაკო ყაჩაღი, გლახის ნაამბობი, თორნიკე ერისთავი, გველის მჭამელი და სხვა კარგი შინაარსის წიგნები ჩვენს ხალხს რავდენჯერაც უნდა წაუკითხოთ, ყოველთვის დიდის ყურადღებით დაუგდებს ყურსა და წიგნის მცოდნე ხომ შეიძენს და თვითონ წაიკითხავს.

წაიკითხავს, მაგრამ წიგნს ხელმოკლებით ვერა სწვდება და სხვასაც მასთან არავის მიაქვს და, თუ მიიტანს ვინმე სოფელში წიგნსა, ისიც იქნება უშინაარსო, ქუჩური და სალოახნური შინაარსის, უშმაწური წიგნები. ასეთი წიგნები აუარებელი იბეჭდება, მრავლად ვრცელდება დაბა-ქალაქებში და გადის სოფლადაც.

უნდა მოგახსენოთ, რომ დღევანდელი, ან მოკლე ხანში ყოფილნი, გამომცემელნი ქართულის წიგნებისა ორ უმთავრესს ჯგუფად შეიძლება გაიყოს. ერთი ჯგუფი, რომელიც უფრო ასე თუ ისე განვითარებულებისაგან და ჩვენი ინტელიგენტებისაგან შესდგება, სცდილობს გამოსცეს წიგნები კარგი შინაარსისა, მშვენიერს ქაღალდზე და ზედაც წააწეროს ფასი, რაც შეიძლება ნაკლები; ერთი სიტყვით, სცდილობს ისე მცირე ფასი დააწეროს წიგნს, რომ მოგებას არ დასდევს, თავის ჯაფა-შრომასაც არ ანგარიშობს, ქველ-მოქმედობას სჩადის, ოღონდ კი ხალხმა არ იძვიროს, იყიდოს და გავრცელდეს სოფლად. აქ დიდად მოღვაწეობენ ჩვენი ქალები; აარსებენ წრეებს, ჩამოდიან ფულებს, რომ ბეჭდონ წიგნები; ამ მიზნისათვის ამათ ეწევიან შეძლებულებიც ფულით, მაგრამ მომეტებული ნაწილი გამომცემლობისა ორიოდ-სამის წიგნის გამოცემის შემდეგ თავს ანებებს მოქმედებას. ამ ჯგუფს ეკუთვნიან შემდეგი გამომცემელნი: „ახალი მკითხველი“, სხივი, მუშა, ტოროლა, გლეხი, ცისკარი, ამხანაგი, ამხანაგობა ქსნისა, კალამი, კოლხიდა, იმერეთი, ალიონი, მერკვილაძე, გაჩეჩილაძე, თავართქილაძე, ქელიძე და სხვ. და სხვა. ამავე დარგის ჯგუფს ეკუთვნის წ. კ. საზოგადოებაც.

წიგნების გამომცემლების მეორე გვარის ჯგუფი სულ სხვა გზას ადგას. ესენი ბეჭდავენ წიგნებს ვაჭრულის მოსაზრებით: მათთვის სულ ერთია, როგორი შინაარსისაც უნდა იყოს წიგნი, ოღონდ ფული მოიგონ. სცდილობენ, რაც შეიძლება წიგნი იაფად დაჯდეს, ქაღალდსაც ძალიან იაფ-ფასიანს ხმარობენ. ეს მეორე რიგის გამომცემელნი კერძოდ, ცალცალკე მოქმედებენ; ამათგან არავითარი ამხანაგობა, წიგნების გამომცემელი წრეები არ გაგვიგონია. მათი გვარებია: ზარგაროვი, ზარიძე, შახ-ბარათოვი, ფიდიროვი, გივიშვილი, არზუმანოვი, კაზაროვი, სკანდაროვი, გილუტ შიხიანი, ლაზარევი და სხვანი. ზოგი მათგანი სთხზავს და არდგენს კიდეც წიგნებსა. ზოგს თავისი საკუთარი წიგნის მაღაზიაც აქვს და ჰყიდის თავის გამოცემულს წიგნებსა. ლაზარევს აუარებელი წიგნები აქვს გამოცემული; ზარიძეს 120 წიგნზე მეტი გამოუცია. შახბარათოვის გამოცემულს „სიზმრის ახსნას“ № 157 აწერია. ამათ გამოცემულს წიგნებს ამგვარი სათაური აქვთ: „ობა თქვენკენ არის“, „ჯიკა, ჯიკა და სხვა ახალი ლექსები“, „ლექსები თელაურ თხაზე“ და სილხალურ „ვირზე“, „მოგხვდა თუ არა“, „ტფილისელი კინტოს თარფი“, „მექალეხე ქალები“, „გეურქ ალა და კარაპეტა კატორღაში“ და სხვა. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ მეორე დარგის გამოცემული წიგნები აუარებელი იბეჭდება და ვრცელდება დაბა-ქალაქებში, გადის სოფლად, ვიდრე პირველი ჯგუფის გამოცემულები, თუმცა გაცილებით უფრო ძვირად ფასობს მათი უშინაარსო წიგნები.

შევადაროთ პირველი ჯგუფის მიერ გამოცემული მეორე ჯგუფის გამოცემულს: აი წ. კ. საზ. გამოცემული „კაკო ყაჩაღი“ ილიასი და შახბარათოვის მიერ გამოცემული № 61 ქალვაჟიანი. ორთავე ერთი ტანის წიგნია. პირველია გამოცემული სუფთად, კოპწიად, ძვირფასს ქაღალდზეა დასტამბული და ჩართული აქვს ილიას სურათი ე შეიცავს 32 გვერდს. „კაკო ყაჩაღის“ შინაარს ქება არ უნდა; ფასიც აწერია 5 კაპ. ქალ-ვაჟიანი ფრიად უხეიროდ გამოცემაა, იაფ-ფასიან ქაღალდზეა დასტამბული, სულ 16 გვერდიანია და აწერია 10 კაპ. ეს წიგნი 32 გვერდიანი რომ იყოს, ფასს დააწერდნენ 20 კაპ. გამოდის რომ „კაკო ყაჩაღი“ ქალ-ვაჟიანზე ოთხჯერ იაფია, მაგრამ ქალვაჟიანი გაცილებით მეტი იბეჭდება და ვრცელდება ხალხში.

შევადაროთ „გოგია მეჩონგურე“ და „ანაბაჯი“. ორთავე თექვსმეტ-თექვსმეტი გვერდიანია. პირველი მშვენივრად არის გამოცემული პირველი ჯგუფის ერთ-ერთი გამომცემლისაგან; ფასიც მცირე აწერია—სულ 5 კაპ. „ანა-ბაჯი“ გამოცემულია შახბარათოვისაგან № 151, ძალიან ნაკლები ღირსების გამოცემაა პირველზე, ფასი აწერია 15 კ. სამჯერ მეტი, მაგრამ „ანა-ბაჯი“ აუარებელი იყიდება ხალხში, ვიდრე „გოგია მეჩონგურე“ აკაკისა.

ერთის სიტყვით, რომელი წიგნიც უნდა აიღოთ პირველი ჯგუფის მიერ გამოცემული, ყოველი სუფთად, კოხტად და კარგს ქაღალზეა დასტამბული და ამასთან ფასიც ნაკლები აწერია, მაგრამ გაცილებით ნაკლები გადის მეორე ჯგუფის გამოცემულს უშინაარსო წიგნებზე.

რა არის ამის მიზეზი? რატომ არ იყიდება „მეფე დიმიტრი თავდადებული“ იმდენი, რამდენიც იყიდება „ანა-ბაჯი“, თუმცა პირველი გაცილებით იაფია მეორეზე?

იმიტომ, რომ წიგნი ისეთი უსაჭიროესი ნივთიერება როდია, როგორიც არის, მაგალითად, მარილი, რომლის გულისთვისაც ადამიანი ცხრა მთას გადალახავს. წიგნი კი ჩვენს კაცს უნდა მიუტანოს ვინმემ. ვინმემ უნდა წაიღოს, იყიდოს, გამომცემლისაგან ხალხისკენ და ეს კი მუქთად არ გაირჯება, გასამრჯელო უნდა აიღოს. გასამრჯელო თვით გასასყიდათ ნაყიდმა წიგნმა უნდა მისცეს. ე. ი. რამდენიც მისცა წიგნში ფული, იმაზე მეტი ფული—მოგება—უნდა აიღოს წიგნის გასყიდვით და ეს მეტი აღებული ფული—მოგება—იქნება მისი გასამრჯელოც.

(დასასრული იქნება)

**ივ. გ. ავალიშვილი.**

## მოწერილი ამბები

**ახალციხე.** 19 იანვარს გაიხსნა ჩვენში წ. კ. ს. ადგ. განყოფილება და მოქმედება უკვე დაიწყო. ამ დღეს მომხდარ კრებაზე აირჩიეს განყოფილების გამგეობაში დამატებითი წევრები და სამ-წევრიანი გამგეობა [illegible]. გამგ. წევრებად აირჩიეს: ნ. მ. ლაზარიშვილისა, რ. გ. ალელოვისა, კ. ი. გვარამაძე და მოლა ალიჯან ჩოლახიძე. კანდიდატებად: ა. ხ. ბარბუნთელი, ლ. ს. ფირალიშვილი და ზ. კ. დიდიმამიშვილი. სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: ი. ლაზარიშვილი, ნ. ა. ასათიანი და კანდიდატად ს. ასათიანი.

ამავე კრებაზე შემუშავდა განყოფილების სამოქმედო გეგმა და მიიღეს ახალი წევრებიც. დასასრულ მოილაპარაკეს კრებაზე, თუ როგორი მონაწილეობა მიიღონ მსახიობ კ. ყიფიანის საიუბილეო დღესასწაულში. დაადგინეს: პარაკლისი გადაიხადონ წმ. მარინეს ეკლესიაში იუბილიარის სადღეგრძელოდ; გაეგზავნოს მ. სალოცი დეპეშა და იუბილიარის პატივსაცემლად წარმოდგენა გაიმართოს და შემოსავალი მისი სახელით, ადგილ. განყოფილებას გადაეცეს, როგორც ახლად გახსნილს დაწესებულებას. კრების ვრცელი პროცესი შემდეგში იქნება მოთავსებული.

**დამსწრე.**

რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

## მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

### ტფილისიდან გადის.

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** სიღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სიღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 1 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადამზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **სამ.** დილ. 8 ს. 3 წ. № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**ჯულფისაკენ:** **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. 10 წ.

**ყარსისკენ:** **სამ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევნისაკენ:** № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** სიღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სიღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** სიღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** სიღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს. 12 წ.

**ჯულფიდან** № 4|3 საფოსტო 7 საათსა და წუთს საღამოთი.

**ერევნიდან** № 26|25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვორონცოვის შესახვევი № 8. მიიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

სასანიტარო ექიმები
-უბნები: 1—2 მ. ფომინა-თარხნიშვილისა ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
3—4 და რუსის ბაზარში ქრ. ლ. ქალანთაროვი (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6ა. მ. ზაბლუდოვსკი (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).
7—8 ნ. დ. ზატიხოვი (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).
9—11 გ. თ. ნათიშვილი (მონუმენტის შესახვევი,-№ 5. 487).
10—12 გ. ა. მირაქოვი (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 827.)
სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და გვემარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შენიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ვასწავლი
ქართულ „სიმღერა-გალობას“ და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს გუნდისათვის. გუნდის მიწვევა კონცერტებზე, ეკლესიებში, როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიც. პირობების გაგება, მოლაპარაკება და ჩაწერა მიხეილ კავსაძესთან, კვირაობით 3—5 ს.-დე და ოთხშაბ. 6—8 ს. ბებუთოვის ქ. № 29. ვიღებ და ვასწავლი მუშა ხალხსაც. 1027

ექიმი ქალისა ნინო რცხილაძე.
გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.
იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ზ. გ. ბეკთაბეგოვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ზ. ი. ზახარიევი: 10—11 ს. საზებით, ქალებისა და ბავშვებისა.
გ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ბეგტაბაგიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, ახაგმშობ. და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი თ. ვ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საზებით და ქალების ავადმყ.
საღამოთი:
მ. ბ. ბეგტაბაგიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
1004

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, ს. ბ. გაბაშვილისა.

ექიმი შ. ა. მიქელაძე
15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპ. № 117. ტელეფონი 816.

ალტაცებისათვის იშვიათი შემთხვევა!
ჩვენი ნივთების დანახვით გაოცდებით, რადესაც გაიგებთ, თუ რა იაფი ფასები დაგვიწესეთ მათზე, რომელიც დარწმუნდებით ჩვენი საქონლის კეთილ ღირსებაში.
მხოლოდ 4 მ. და 95 კ. ვგზავნით შემდეგს ძვირფას და სასარგებლო ნივთების გარნიტურს: 1. მშვენიერ ჯიბის საათს, ნამდვილი შავი ფოლადისას, ახალ მოდურს, ძლიერ თხელს, მოსართავი თავში აქვს და მორთვა სჭირია ყოველ 40 საათის განმავლობაში ერთხელ, ნამდვილი ანკერი, მუშაობს ქვებით, ან და ქალებისათვის ცილინდ., წუთამდე შემოწმებული, უეჭველად სწორი მუშაობა, პასუხის-გება ექვსი წლის განმავლობაში. 2. კოხტა და მოდური ძეწკვი ორფად ნამდვილი „დუბლე“-ს ლითონიდან, საუკეთესო შნოისა, 3. ძლიერ საინტერესო ბრელოკს, 4. საათისათვის ზამშის ბუდეს, 5. საზღვარ-გარეთულ საფულეს ტყავისას, ექვსი განყოფილებით და მექანიური გასაღებით, კოხტა პარიზის ხელობისას, 6 რეზინის ბეჭედს, რომელზედაც ეწერება გვარი, სახელი და მამის სახელი შემკვეთელისა. 7. საათების დასაცავს ქურდებისაგან, 8. სათეატრო ბინოკლს, საუცხოვო ნახელავს, ოთხი აქრომატიულ შუშით, რომელიც ძლიერ ადიდებს შორეულ საგნებს, 9. სტერეოსკოპს—ცო- [illegible]
დაბეჭვნა ხარჯი 45 კაპ., (ციმბირში 80 კაპ.)
ადრესი: „Т—во „ПАТЕНТЪ“, Варшава, Св. Креста, отд. 127.
Метцль. 64512. 1583



თევზის მრეწველნი
ძმ.
მეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

განყოფილება
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ძველ, საკუთარ სახლში.
იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.